
**საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა
და განვითარების ცენტრი**

გიორგი ბარბაქაძე, ბრიგოლ მღვდელაძე

მსოფლიო ბანკის მუნიციპალური

პროექტების ათვისება 2

დავით ამალოგელი

მოგების გადასახადი საქართველოში 28

მსოფლიო ბანკის მონიტორინგის პროექტების ათვისება

■ გიორგი ბარბაქაძე
გრიგოლ მღვდელაძე

მსოფლიოს რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა და საქართველოს რესპუბლიკის ურთიერთობები დაიწყო 1992 წელს, როდესაც საქართველო განეწინააღმდეგა ამ ორგანიზაციაში. სამწუხაროდ, 1994 წლამდე პოლიტიკური და სხვა მიზეზებით ვერ მოხერხდა პროექტების განხორციელების დაწყება. 1994 წლის მაისიდან, როდესაც მსოფლიო ბანკმა საქართველოს გამოუყო პირველი კრედიტი საინსტიტუციო მშენებლობის პროექტის დასაფინანსებლად, საქართველოსა და მსოფლიო ბანკის ურთიერთობები მზარდი ინტენსივობით ვითარდება. დღეისათვის განხორციელების სხვადასხვა ეტაპზეა მსოფლიო ბანკის 13 პროექტი (იხ. ცხრილი №1), რომლებიც ხორციელდება თითქმის ყველა სფეროში. ორი კრედიტი კი უკვე დახურულია.

ემსახურება. ბანკის მიერ გაწეული დახმარების ფორმებს ამ შემთხვევაში სტრუქტურული

მსოფლიო ბანკის სტრატეგია საქართველოში ითვალისწინებს ხელისუფლების ხელშეწყობას სახელმწიფო ფინანსების განმტკიცებაში, ზრდის უზრუნველყოფას და გამრავალფეროვნებაში, გარემოს დაცვას და სიღარიბის შემცირებაში.

გარდაქმნა და მასთან დაკავშირებული ტექნიკური დახმარების კრედიტი წარმოადგენდა. მეორე მიზანი - ზრდის ფაქტორების გამრავალფეროვნება - პრივატიზაციისა და სანარმოთა რესტრუქტურის პროცესის ხელშეწყობის, ძირითადი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის, ფინანსური სექტორისა და სასამართლო ხელისუფლების განმტკიცების გზით უნდა განხორციელდეს. მესამე მიზანი, რომელიც გარემოს დაცვას ემსახურება, ამ სფეროში კონსულტაციების გამართვითა და მცირე მაშტაბიანი სასინჯი პროექტების განხორციელებით უნდა მიღწეულიყო. და ბოლოს, მეოთხე მიზნის - სიღარიბის შემცირების - მიღწევა დაგეგმილი იყო

დღესდღეობით საქართველოში მსოფლიო ბანკის 13 პროექტი ხორციელდება, რომლის საერთო ღირებულებაც 237,79 მლნ. აშშ დოლარია.

საქართველოს ეკონომიკის ზრდამ და მიმდინარე პროექტების წარმატებით განხორციელებამ განაპირობა მსოფლიო ბანკის გადამწყვეტილება საქართველოსათვის დამატებითი რესურსებიდან გამოეყო კრედიტი. საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივი ძალისხმევით დამატებითი საკრედიტო რესურსებით გადამწყვეტილი იქნა მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის პროექტის დაფინანსება.

სახელმწიფო გასავლების სოციალური სფეროს სასარგებლოდ ზრდის, სოციალური დახმარების მიზნობრივად განაწილების სისტემის გაუმჯობესების, საპენსიო ფონდების, ჯანდაცვისა და განათლების დარგების რეფორმის საშუალებით. სტრატეგიის მიღებიდან ერთი წლის თავზე ყველა ეს მიზანი ჯერაც ძალაშია და ხელისუფლებასა და ბანკს შორის მიმდინარე დიალოგის ერთ-ერთ ძირითად საგანს წარმოადგენს.

საუბრები ქვეყნის დახმარების სტრატეგიის შესახებ რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის მხრიდან 1998-2000 ფისკალური წლებისათვის საქართველოს ხელისუფლებასთან გაიმართა 1997 წლის ივნისში. აღნიშნული სტრატეგია ითვალისწინებს ხელისუფლების ხელშეწყობას შემდეგ ოთხ ძირითად სფეროში: სახელმწიფო ფინანსების განმტკიცება, ზრდის ფაქტორების გაღრმავება და გამრავალფეროვნება; გარემოს დაცვა; სიღარიბის შემცირება.

სტრატეგია საკრედიტო და არასაკრედიტო მომსახურებათა კომბინაციასა და შესაძლო გარანტიებს ითვალისწინებს. მოვლენათა განვითარების ყველაზე უფრო სავარაუდო სცენარი იყო ე.წ. მაღალი რეესტრის სცენარი, ანუ რეფორმების მტკიცე კურსი, ხელსაყრელი საგარეო გარემო და დონორების აქტიური მხარდაჭერა. ანგარიში აღებული იყო, აგრეთვე დადებით კრედიტუნარიანობაზე, რომელიც სტრატეგიის მთელი შუალედური პერიოდის განმავლობაში, ანუ 1999 წლის დასაწყისამდე უნდა შენარჩუნებულიყო. მაღალი რეესტრის სცენარი 1998-2000 ფისკალური წლებისათვის დაახლოებით 14 პროექტისაგან შემდგარ

საკრედიტო პროგრამას ითვალისწინებს, რომლის საერთო ღირებულება 320 მილიონი აშშ დოლარია (იხ. ცხრილი №2).

1998-2000 წლებისათვის მსოფლიო ბანკი ითვალისწინებს 320 მილიონ აშშ დოლარს საკრედიტო პროგრამას.

დღემდე 1998 ფისკალური წლისათვის საბჭომ ხუთი პროექტი დაამტკიცა, რომელთა საერთო ღირებულება 110.4 მლნ. აშშ დოლარია. სტრუქტურული გარდაქმნის მეორე კრედიტი, რომლის ოდენობა 60 მლნ. აშშ დოლარია, საფუძველს უმაგრებს მთავრობის რეფორმების პროგრამას და ხელს უწყობს მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციას. ამის პარალელურად ხორციელდება სტრუქტურული გარდაქმნის ტექნიკური დახმარების მეორე კრედიტი, 5 მლნ. აშშ დოლარის ოდენობით, რომლის მიზანია რეფორმებისათვის ინსტიტუციონალური საფუძვლების მომზადება. მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის კრედიტი - 20.9 მლნ. აშშ დოლარი - ხელს უწყობს დეცენტრალიზაციის საწყის ეტაპზე საქალაქო მომსახურებაზე პასუხისმგებლობისა და მოვალეობის მუნიციპალიტეტებისათვის გადაცემას. სოციალური ინვესტიციების ფონდი - 20 მლნ. აშშ დოლარი - ზრდის ძირითადი მომსახურების განვითარების შესაძლებლობებს სახსრების მობილიზაციისა და მცირე საინვესტიციო არხებით განაწილების გზით, რასაც შედეგად სოციალური დახმარების მყარი სისტემის დამკვიდრება მოსდევს. საქართველოსათვის ჯერ-ჯერობით ყველაზე ბოლოს დამტკიცებულია კულტურის მემკვიდრეობის დაცვის კრედიტი — 4.49 მლნ. აშშ დოლარი. რომელიც ბანკის ერთ-ერთ სიახლეს წარმოადგენს და მას „სწავლისა და სიახლეების პროექტი“ ეწოდება. პროექტის მიზანია გააუმჯობესოს და განავითაროს საქართველოს მდიდარი კულტურის მემკვიდრეობა და საამისოდ: ა) მოსინჯოს ნიადაგი საქართველოს ოდესღაც დინამიკური ტურისტული ინდუსტრიის ასაღორძინებლად; ბ) ხელი შეუწყოს სოციალურ სიმტკიცეს და ეროვნულ თვითშეგნებას ახალ ეკონომიკაზე გადასვლის ესოდენ მძიმე პერიოდში.

მსოფლიო ბანკის პროექტებიდან ამ მოხსენებაში ჩვენ განვიხილავთ „მუნიციპალურ ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია“-ისა და „მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაცია“-ის პროექტებს, რომლებიც დამტკიცებულია საბჭოზე: პირველი 1994 წლის 11 ოქტომბერს, ხოლო მეორე 1997 წლის 15 ივლისს. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამ, საბჭოთა კავშირის დაშლამ გამოიწვია ინტეგრირებული ეკონომიკის რღვევა და აღმასრულებელი ხელისუფლების მართვის თვისობრივად ახალ ფორმაციაზე გადასვლა.

ყოველივე აქედან გამომდინარე რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა ქალაქების მუნიციპალური სამსახურები და მოსახლეობა, გაძნელდა მისი ინტელექტის, აზროვნების გარდატეხა საბაზრო ეკონომიკის პრინციპებიდან გამომდინარე. ყოველივე ამან მოითხოვა აღმასრულებელი ხელისუფლების მსოფმხედველობითი და სტრუქტურული რეორგანიზაცია.

საქართველოში მიმდინარე მმართველობის დეცენტრალიზაციის პროცესი სულ უფრო მეტ დამოუკიდებლობას აძლევს რეგიონებს შესაბამისის ტერიტორიების რესურსების გამოყენების სფეროში, რაც ზრდის მათ პასუხისმგებლობას, საკუთარი, რეგიონალური და ასევე ქვეყნის მოთხოვნების დაკმაყოფილებაში. როგორც მთლიანად საქართველოს ეკონომიკა, ასევე რეგიონის ეკონომიკაც ძველ პარამეტრებით და უწინდელი გზებით ვერ განვითარდება, საჭიროა იმ გზების ძიება, რომელიც ადგილობრივი ინიციატივისა და საერთო ეკონომიკური პოლიტიკის საფუძველზე, გამოჰკვეთს და ხელს შეუწყობს თითოეულ რეგიონში პრიორიტეტული დარგებისა და სფეროების განვითარებას.

ადგილობრივი თვითმმართველობის უფლება კონსტიტუციით არის გარანტირებული. კონსტიტუციის მე-2 მუხლი აღიარებს მოსახლეობის უფლებას თვითონ, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე გადაწყვიტოს ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეები. კონსტიტუცია ითვალისწინებს ორგანული კანონის მიღებას, რომლითაც განისაზღვრება თვითმმართველობის ორგანოთა შექმნის წესი, უფლებამოსილება და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობა. ამასთან კონსტიტუცია მოითხოვს, რომ თვითმმართველობის საქმიანობა და დამოუკიდებლობა არ ლახავდეს სახელმწიფოს სუვერენიტეტს.

კონსტიტუცია ითვალისწინებს ორგანული კანონის მიღებას, რომლითაც განისაზღვრება თვითმმართველობის ორგანოთა შექმნის წესი და უფლებამოსილება.

დეცენტრალიზაციის პროცესმა, რომელიც საქართველოს მთავრობამ ბოლო თვეებში დაიწყო, ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. ფაქტიურად, მოსახლეობისადმი კარგი ხარისხის მომსახურების მიწოდების ჩავარდნის მიზეზია ადგილობრივ მმართველობაში ტექნიკური და მმართველობითი ცოდნის დეფიციტი. ადგილობრივი მმართველობის სფეროში რეფორმის მიზანია ადგილობრივი ორგანოების ორგანიზაციული. მართვისა და ფინანსურ-

ეკონომიკური ბაზის გაუმჯობესების გზით მუნიციპალური მომსახურების განვითარებასა და უზრუნველყოფაზე უფლებამოსილების თანდათანობით ქვედა რგოლებისათვის გადაცემა; ადგილობრივ საზოგადოებრივ მომსახურებათა და ადმინისტრაციულ ფუნქციათა განხორციელების ეფექტიანობის ზრდა ადგილობრივი და საერთო-სახელმწიფო ინტერესების ერთიანობის უზრუნველყოფის, მოქალაქეთა თვითმმართველობის უფლების გარანტირებისა და საზოგადოების თვითორგანიზების საფუძველზე.

სახელმწიფო აღმშენებლობის პროცესმა შექმნა მუნიციპალური სექტორის ადგილობრივი განვითარების წინაპირობები და დღის წესრიგში დააყენა ადგილობრივ სფეროებში რადიკალური რეფორმების გატარების აუცილებლობა.

მიმდინარე რეფორმებმა ეკონომიკის, სამართლებრივ და მმართველობის სისტემის სფეროებში, ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის დამყარებამ, შექმნა პირობები მუნიციპალურ სექტორშიც ვითარების მონესრიგებისათვის.

ამჟამად როგორც სამართლებრივი სისტემის, ასევე ეკონომიკური გარდაქმნების მიმდინარეობა იძლევა საშუალებას, უფრო მეტიც, გვავალდებულებს, რათა განხორციელდეს თვისებრივი ცვლილებები ადგილობრივი მმართველობის სფეროში. მითუმეტეს, რომ თვით სახელმწიფო მმართველობის სფეროში უკვე განხორციელდა შესაბამისი მოსამზადებელი რეფორმები, საფუძველი შეექმნა რეგიონალური და ადგილობრივი მართვის პოლიტიკის ჩამოყალიბებას, რამაც საშუალება მოგვცა დაგვეწყო მართვის აღნიშნულ რგოლში რეფორმების პროცესი. დაიგეგმა და ჩატარდა სახელმწიფო მაშტაბის ღონისძიებები მუნიციპალური სექტორის რეაბილიტაციისა და მისი შემდგომი განვითარების პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური საფუძველების მოსამზადებლად.

ამ მიზნით შემუშავდა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ 1997 წლის 14 ივლისს № 362 ბრძანებულებით დამტკიცდა „საქართველოს მუნიციპალური განვითარების სახელმწიფო პროგრამა“. პროგრამის მომზადების პროცესში გათვალისწინებულ იქნა ამ სფეროში საერთაშორისო ორგანიზაციების გამოცდილება და საქართველოს სპეციფიური პრობლემები.

განვითარების ინსტიტუციონალური (ორგანიზაციულ, სამართლებრივი), სოციალურ-ეკონომიკური და საინფორმაციო უზრუნველყოფის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ძირითად მიმართულებებს მოკლე (1997-98 წწ.) და საშუალო (2000 წლამდე) პერიოდისათვის.

„საქართველოს მუნიციპალური განვითარების სახელმწიფო პროგრამა“-ის ძირითადი მიმართულებებია:

- მუნიციპალური განვითარების სამართლებრივი უზრუნველყოფა;
- მუნიციპალური განვითარების სოციალურ-ეკონომიკური ბაზის შექმნა;
- მუნიციპალური განვითარების ორგანიზაციულ-მეთოდური მხარდაჭერისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლის ორგანიზება;
- მუნიციპალური განვითარების რეგიონალურ პროგრამათა მომზადება;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის კადრების მომზადების სისტემის ორგანიზება;
- მუნიციპალური განვითარების არასამთავრობო პროგრამების მხარდაჭერა;
- მუნიციპალური განვითარების საინფორმაციო უზრუნველყოფა.

მუნიციპალური განვითარების სამართლებრივი უზრუნველყოფა გულისხმობს მოქალაქეთა თვითმმართველობის კონსტიტუციური უფლების რეალიზაციის, ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანოების შექმნისა და მათი საქმიანობის საკანონმდებლო საფუძველების შექმნას.

მუნიციპალური განვითარების სოციალურ-ეკონომიკური უზრუნველყოფა გულისხმობს ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების, მის მიერ ადგილობრივ დონეზე საზოგადოებრივი მომსახურების განხორციელებისა და მოსახლეობის სოციალურ დაცვის ორგანიზებისათვის ქონებრივი, მატერიალური, საბიუჯეტო და საგადასახადო საფუძველების მომზადებას. ამ მიზნით შესაბამის სამართლებრივ, ეკონომიკურ და ორგანიზაციულ ღონისძიებათა დაგეგმვას და განხორციელებას. მათ შორის უმთავრესია ადგილობრივი საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება.

მუნიციპალური განვითარების ორგანიზაციულ-მეთოდური მხარდაჭერა გულისხმობს ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბებისა და შემდგომი ფუნქციონირების ინსტიტუციონალურ პრობლემებთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრისათვის შესაბამისი მეთოდოლოგიური ბაზის მომზადებას.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების სახელმწიფო პროგრამიდან

სამართლებრივი პროცესების განხორციელების უზრუნველყოფის პროგრამის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა

„საქართველოს მუნიციპალური განვითარების სახელმწიფო პროგრამა“ მიზნად ისახავს საქართველოს მუნიციპალური

გამომდინარე მუნიციპალური განვითარების რეგიონალური (საქალაქო) პროგრამები ითვალისწინებენ საქართველოს რეგიონების მიხედვით შესაბამის კონკრეტულ ღონისძიებათა დაგეგმვასა და გატარებას. მათ შორის: ადგილობრივი ეკონომიკური ინფრასტრუქტურის (ადგილობრივი გზები, სამეწარმეო საქმიანობის მუნიციპალური მომსახურების საკომუნიკაციო, საინფორმაციო, სადაზღვევო და სხვა ობიექტები) განვითარების პროგრამებს; ადგილობრივი სოციალური ინფრასტრუქტურის (განათლების, კულტურის, სამედიცინო დაწესებულებათა) რეაბილიტაციისა და შემდგომი განვითარების სახელმწიფოებრივ ღონისძიებებს.

მუნიციპალურ სექტორში შექმნილი მდგომარეობის რეალურად შესაფასებლად, ამ მდგომარეობიდან ქვეყნის გამოყვანისა და შემდგომ განვითარებაში დასახმარებლად განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მსოფლიო ბანკის მიერ მომზადებული „საქართველოს მუნიციპალური პოლიტიკის მიმოხილვა“ და ამ მიმოხილვის საფუძველზე შემუშავებული „მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის“ პროექტი.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალური განვითარების რეგიონალური (საქალაქო) პროგრამების შექმნას.

„საქართველოს მუნიციპალური განვითარების სახელმწიფო პროგრამა“-ის დაფინანსების მიზნით საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 7 ივნისის ბრძანებულებით იქმნება „მუნიციპალური განვითარების ფონდი“. ამ ფონდის სახსრები იქმნება:

პროგრამის განხორციელება, როგორც ვთქვით გათვალისწინებულია ორ ძირითად ეტაპად:

პირველი ეტაპი, როგორც ზემოთ ვთქვით მოიცავს ორ წლიან (1997-1998 წწ.) პერიოდს. ამ ეტაპზე უნდა ჩამოყალიბდეს მუნიციპალური განვითარების ძირითადი ინსტიტუციონალური და სოციალურ ეკონომიკური გარემო - შეიქმნას ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები, მოხდეს შესაბამის ორგანოთა ფორმირება (ჩატარდეს ადგილობრივი არჩევნები), გაიმიჯნოს სახელმწიფო და ადგილობრივი საგადასახადო და საბიუჯეტო სისტემა, შემუშავდეს მუნიციპალური განვითარების რეგიონალური პროგრამები;

- სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული რესურსებით;

- საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო ფონდებიდან მიღებული ანარიცხებით;

მთლიანად პროგრამისა და ამ ეტაპის კონკრეტულად, ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილია კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“, რომელიც პარლამენტში უკვე მიღებულია.

მეორე ეტაპზე (2000 წლამდე პერიოდი) გათვალისწინებულია მუნიციპალური განვითარების სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება - საზოგადოების თვითორგანიზების საფუძველზე გარანტირებულ საზოგადოებრივ მომსახურებათა განხორციელება და შესაბამის კონკრეტულ პროგრამათა რეალიზაცია.

- საქართველოსა და უცხოეთის არასამათავრობო ორგანიზაციების შენატანებით;

- საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციებისაგან მიღებული კრედიტებითა და გრანტებით; ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო პროგრამებისაგან შენატანებით;

- საქველმოქმედო შენატანებით;

- შესაბამისი ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტიდან წილობრივი შენატანებით;

- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა წყაროებით.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების სახელმწიფო პროგრამის წარმატებით განხორციელება მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს ქვეყნის მუნიციპალური სექტორის რეაბილიტაციისა და მის შემდგომ განვითარებაზე და რაც მთავარია საფუძველს ჩაუყრის ქვეყნის მუნიციპალური განვითარების ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას.

„საქართველოს მუნიციპალური განვითარების სახელმწიფო პროგრამა“-ის მონიტორინგის, აგრეთვე შესაბამის რეგიონალურ და ადგილობრივ (მუნიციპალურ) პროგრამათა მომზადების მიზნით საქართველოს პრეზიდენტის რეგიონალური პოლიტიკისა და მართვის სამსახურთან იქმნება „მუნიციპალურ პროგრამათა საკოორდინაციო ცენტრი“.

„მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის პროექტი“ ხორციელდება „მუნიციპალურ პროგრამათა განხორციელების საკოორდინაციო ცენტრი“-სა და „მუნიციპალური განვითარების ფონდი“-ს მეშვეობით.

პროგრამის მომზადებისას, ქვეყნის

ეკონომიკური ლიტერატურა უფრო მეტს გვეუბნება ადგილობრივი მმართველობის დეცენტრალიზაციის შესახებ. მაგალითად, საზოგადოებრივი ეკონომიკურ ლიტერატურაში ნათქვამია, რომ პასუხისმგებლობა მიზანშეწონილ საზოგადოებრივ მომსახურებაზე უნდა გადაეცეს მმართველობის იმ დონეს, რომელიც გულისხმობს საშემოსავლო და საგადასახადო დავალებების გადაცემას იმ ერთეულებისადმი, საიდანაც მოსახლეობას მიენდობა მომსახურება.

ამასთან ერთად, შემოსავლის შესაბამისი წყარო უნდა გადაეცეს ამ ადგილობრივი მმართველობის დონეს, რათა მოხდეს ეფექტური მოთხოვნის დადგენა. ძირითად რეკომენდაციას, რომელსაც ეკონომიკური ლიტერატურა გვანვდის დეცენტრალიზაციის ინსტიტუციონალური ასპექტების შესახებ არის ის, რომ ორგანიზაციის საქმიანობა, ადგილობრივი მმართველობის ჩათვლით, დგინდება არა მარტო იმ მინიმალური უფლებებითა და მოვალეობებით, რომელიც მას აკისრია, არამედ იქ მომუშავე ხალხის მოტივაციითაც.

ეს კონცერტირდება ისეთ საკითხებზე; თუ როგორ არიან დანიშნულნი ან არჩეულნი პირები და რა სახის პერსპექტივები გააჩნიათ ოფიციალურ პირებს თავიანთი მუშაობის პერიოდში. ეს კი დამოკიდებულია სხვადასხვა ქვეყნების სპეციფიკურ ფაქტორებზე. არსებობს ზოგიერთი გაკვეთილი, რომელიც გამოსადეგია საქართველოსათვის. პირველი მათგანი არის ფუნქციონალური მოვალეობების დადგენა ხელისუფლების სხვადასხვა დონეზე. მეორე მნიშვნელოვანი საკითხია ის, რომ უფლება შემოსავლების წყაროებზე უნდა შეესაბამებოდეს თითოეული მმართველობითი დონის ფუნქციონალურ მოვალეობებს. და ბოლოს პასუხიმგებლობის სისტემის ინსტიტუტი უზრუნველყოფს ყველა პირობას, რათა ადგილობრივმა მმართველობამ სრულად გასცეს პასუხი მათ ამომრჩეველთა კითხვებს.

დეცენტრალიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ცენტრალური დონიდან ადგილობრივ დონეზე მმართველობათაშორის ტრანსფერტები. მათი დადებითი როლი იმაში გამოიხატება, რომ ნება მისცენ ადგილობრივ მმართველობას თავისთავზე აიღოს სექტორული ხარჯები, რასაც ეროვნული ხასიათი უფრო გააჩნია ვიდრე ადგილობრივი.

ეფექტიანი დეცენტრალიზაციის პროცესი მოითხოვს გაუგებრობის შემცირებას მთავრობათაშორის ფინანსურ დინებაში და უშედეგო ქცევების აღკვეთას ადგილობრივი და ცენტრალური მმართველობის პირებს შორის.

გაუმჯობესება ფონდების გამოყოფაში შეიძლება მიღწეულ იქნას გრანტის პროგრამების მიზნების დამტკიცებით, განსაკუთრებით იქ სადაც პირობები არ უწყობს ხელს.

მაგრამ არსებობს გამოსავალი, რომ დაფინანსება გრანტის სახით შეიცვალოს ადგილობრივი დაფინანსებით. ყველაზე კარგი მექანიზმი ამისათვის არის მუნიციპალური განვითარების ფონდი, რომელიც წარმოადგენს უახლეს მიდგომას სესხის ელემენტისადმი ადგილობრივი ინფრასტრუქტურის ფინანსირებაში.

ეს არის ასპექტები, რომლებიც წარმოდგენილია საქართველოს მთავრობის რეგიონალური და მუნიციპალური

განვითარების პროგრამაში, აგრეთვე ისინი წარმოადგენენ მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის პროექტის ზოგიერთ პრიორიტეტს, რომელსაც მსოფლიო ბანკი აფინანსებს. ამით ბანკმა გამოიჩინა მისი ინტერესი მუნიციპალური სექტორისადმი და მზადყოფნა სრულყოფილი ფინანსური დახმარებისათვის, განსაკუთრებით საქართველოს იმ მუნიციპალიტეტებისათვის, რომელთაც სურთ რეფორმირება რათა უკეთესი მომსახურება გაუწიონ თავიანთ მოსახლეობას და აგრეთვე ცენტრალური მმართველობის დონეს ადექვატური ინსტიტუციონალური შესაძლებლობების მოპოვებაში ამ ძალიან რთული პროგრამის სარეალიზაციოდ.

მსოფლიო ბანკმა მუნიციპალური განვითარების საკითხის გარშემო ინტერესი გამოიჩინა 1994 წელს, მაშინ როდესაც საქართველოს ხელისუფლებამ მოითხოვა სასწრაფო დახმარება. ამ მოთხოვნას მსოფლიო ბანკმა 18 მლნ. აშშ დოლარის კრედიტით უპასუხა.

ამ პროექტმა, რომლის სახელწოდებაცაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტი, შესაძლებლობა მოგვცა მისი განხორციელების პროცესში შეგვესწავლა ვითარება ხელისუფლების დაბალ დონეზე.

1997 წელს დაიწყო საქმიანობა პრაქტიკულ მუშაობასა და თეორიულ ანალიზზე დაყრდნობით, აგრეთვე გათვალისწინებულ იქნა მოთხოვნა ხელისუფლების მხრიდან დეცენტრალიზაციის უზრუნველსაყოფად. შემუშავდა სქემა, რომელიც შემდგომში ჩაიდო მუნიციპალური განვითარების პროგრამაში.

ცენტრალიზებულ სახელმწიფოს დეცენტრალიზებულ მმართველობაზე გადასასვლელად მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელობამ დამატებითი რესურსების მიწოდება გადაწყვიტა. უფრო კონკრეტულად კი, 21 მლნ. აშშ დოლარი, რომელიც საქართველოს მთავრობის მხრიდან კიდევ 5 მლნ. აშშ დოლარით გაიზარდა.

საქართველოს მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის პროექტს, რომელიც დამუშავებულია მსოფლიო ბანკის მიერ, ჩვენი ქვეყნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია. მრავალი ჩვენთაგანის აზრით, ეს პროექტი არის არა მხოლოდ საქართველოსადმი დახმარება, არამედ მის მიერ არჩეული კურსის აღიარებაც.

საქართველოს მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის პროექტი ავსებს და აძლიერებს საქართველოს მუნიციპალური განვითარების სახელმწიფო პროგრამას და ძლიერი ფინანსური ბერკეტების საშუალებით მიზნად ისახავს მის წარმატებით განხორციელებას.

საქართველოს მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის პროექტი დღესდღეობით საწყის ეტაპზე იმყოფება, ამიტომაც ძირითადად მოგვინვეს ამ

პროექტის მომავალი მიზნების განხილვა, თუმცა შეიძლება მოვასდინოთ განუვლი საექიანობის ანალიზი.

საქართველოს მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის პროექტი ორი - ინსტიტუციონალური და საინვესტიციო კომპონენტისაგან შედგება. პირველ მათგანს ახორციელებს მუნიციპალურ პროგრამათა განხორციელების საკოორდინაციო ცენტრი, ხოლო მეორეს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

საქართველოს მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის პროექტი ორი - ინსტიტუციონალური და საინვესტიციო კომპონენტისაგან შედგება.

პროექტის საინვესტიციო კომპონენტი ითვალისწინებს პროექტში მონაწილე მუნიციპალიტეტებისათვის, თითოეული პროექტის დასაფინანსებლად, არაუმეტეს 500 ათასი აშშ დოლარის ინვესტიციების გადაცემას, საიდანაც 20% ადგილობრივი თანადაფინანსების წილია, 40% გრანტი, ხოლო დარჩენილი 40% კრედიტი.

აღსანიშნავია რომ პირველ წელს ინვესტიციებს უპირობოდ მიიღებს პროექტში მონაწილე ყველა ძირითადი მუნიციპალიტეტი, ხოლო შემდგომ წლებში - მხოლოდ ის მუნიციპალიტეტები, რომლებიც წარმატებით განახორციელებენ მუნიციპალური განვითარების შეთანხმებით გათვალისწინებულ ღონისძიებებს. მუნიციპალიტეტები, სადაც არ განხორციელდება კონტრაქტით გათვალისწინებული რეფორმები, პროექტის თანახმად, შეცვლილი იქნებიან სარეზერვო მუნიციპალიტეტებით.

პროექტის ინვესტიციების 20% ადგილობრივი თანადაფინანსების წილია.

პროექტში მონაწილეობისათვის შერჩეულია 12 ძირითადი (თბილისი, ფოთი, თელავი, ყაზბეგი, გორი, ქუთაისის, ახალციხე, ამბროლაური, ოზურგეთი, ზუგდიდი, რუსთავი, ბათუმი) და 11 სარეზერვო (დედოფლისწყარო, დუშეთი, მცხეთა, ხაშური, ტყიბული, ახალქალაქი, ცაგერი,

გვლა-ში მონაწილეობისათვის შერჩეულია 12 ძირითადი და 11 სარეზერვო მუნიციპალიტეტი.

ჩოხატაური, მესტია, გარდაბანი, ქობულეთი) მუნიციპალიტეტი (იხ ცხრილი № 5). საქართველოს მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის

პროექტის საერთო მოცულობა (26 მლნ. აშშ დოლარი) მოხმარდება ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეებზე საფინანსო რეფორმის განხორციელების, საოპერაციო და ტექნიკური, ადმინისტრაციული რესურსების მართვის გაუმჯობესების, ერთიანი საინფორმაციო სისტემის შექმნის ღონისძიებებს; მუნიციპალურ დონეზე წარმოადგენს აქტიური საინვესტიციო საქმიანობა, რომელიც ხელს შეუწყობს სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების რეაბილიტაციასა და მშენებლობას; კერძოდ, საინვესტიციო თანხები

(დაახლოებით 21 მლნ. აშშ დოლარი) შესაძლოა გამოყენებულ იქნას მუნიციპალურ საკუთრებაში მყოფი ენერჯეტიკის, ტრანსპორტის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური მომსახურების, გარემოს დაცვის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების და სხვა დანიშნულების ობიექტების რეაბილიტაციისა და მშენებლობის დასაფინანსებლად.

საინვესტიციო თანხაზე ხელი უნდა შეუწყოს მუნიციპალურ დონეზე სოციალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციასა და მშენებლობას.

პროექტის განხორციელებისას საჯაროობისა და მოსახლეობის ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად, პროექტში შეტანილ იქნა, ყოველი მუნიციპალიტეტის მიხედვით, მოსახლეობის სტრუქტურული გამოკითხვის მოწყობა, რამაც უნდა უზრუნველყოს სწორი საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელება. ეს გამოკითხვა ორ მიზანს ისახავს:

- 1. გვიჩვენებდა თუ სად იყო სუსტი ადგილები ადგილობრივი მოსახლეობის აზრით
- 2. გამოკვლევა ტარდება მას შემდეგ, რაც მუნიციპალიტეტი წარმოადგენს პროექტს. ამით ვგებულობთ თუ რამდენად ემთხვევა მოსახლეობის აზრი ადგილობრივი მმართველობის მოსაზრებებს.

პროექტი ითვალისწინებს ადგილობრივ მოსახლეობის სოციოლოგიურ გამოკითხვას

მსოფლიო ბანკის ექსპერტების აზრით საქართველოს მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის პროექტის მოსამზადებელი და განხორციელებული სამუშაოები საკმაოდ კარგად და სწრაფად დაინყო.

მოკლე პერიოდში შეირჩა პროექტში მონაწილე სარეზერვო და ძირითადი მუნიციპალიტეტები, აგრეთვე - მათ შორის პირველი 8 მუნიციპალიტეტში უკვე დაიწყო

პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები. მსოფლიო ბანკის მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის პროექტის განხორციელების ერთ-ერთ სანაწიეს ეტაპს წარმოადგენს მუნიციპალური აუდიტი, რომელსაც პროექტში მონაწილე მუნიციპალიტეტებში განხორციელებენ საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ ლიცენზირებული სააუდიტორო ფირმები.

პროექტის განხორციელების ერთ-ერთი საწყისი ეტაპია მუნიციპალური აუდიტი.

სააუდიტორო ფირმებს შორის ტენდერმა, რომლის სანაწიეს ეტაპზე მონაწილეობდა 20-ზე მეტი ფირმა, მძაფრი კონკურენციის პირობებში ჩაიარა. წარმომადგენლობითმა კომისიამ, ყველა პროცედურების დაცვის შემდეგ, გამოავლინა ის 4 ფირმა, რომელთაც წილად ხვდათ უფლება განხორციელებინათ აუდიტი. ეს ფირმებია: „აუდიტი-ინფორმი“, „თჯ ბეგა აუდიტი“, „საქართველოს აუდიტორული კორპორაცია“, „ჯ და ჯ“. მუნიციპალურ პროგრამათა განხორციელების საკოორდინაციო ცენტრთან

კონტრაქტის გაფორმების შემდეგ ეს ფირმები შეუდგნენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებას.

მუნიციპალური აუდიტი ფაქტიურად ახალი ფორმაა საქართველოს მუნიციპალიტეტების საქმიანობის ანალიზში. მისი ძირითადი მიზანია გამოავლინოს და შეაფასოს მუნიციპალიტეტების ფინანსური, ტექნიკური, მმართველობითი და სხვა მიმართულებებით არსებული მდგომარეობა, ანუ წარმოადგინოს რეალური სურათი მუნიციპალიტეტებში არსებული ვითარების შესახებ. საბოლოო ჯამში ეს საჭიროა, რომ შეიქმნას ბაზა სანაწიის მონაცემებისა, რომლის მიხედვითაც უნდა განისაზღვროს კონკრეტული მუნიციპალიტეტების განვითარების პერსპექტივა, აგრეთვე მისი განხორციელების გზები.

მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია საქართველოში მუნიციპალური განვითარების უზრუნველყოფის შესახებ გულისხმობს საქმიანობის მთელი კომპლექსის განხორციელებას, როგორც უშუალოდ აუდიტის, ისე შემდგომ პერიოდში - ფაქტიურად მთელი პროექტის მანძილზე. ეს საქმიანობა, ერთი მხრივ გამოიხატება ინსტიტუციონალურ განვითარებაში, ხოლო მეორე მხრივ ფიზიკურ ინვე-

სტიციებში, რომლებიც დამეთანხმებით დღეს უაღრესად საჭიროა ჩვენი ქვეყნის მმართველობის ორგანოებისათვის. ამასთან აუცილებელია შევნიშნოთ, რომ აღნიშნული 2

კომპონენტიდან პირველადობა მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის პროექტის მიხედვით, ენიჭება პირველს - ინსტიტუციონალურ კომპონენტს, რომლის განხორციელება წარმოადგენს საფუძველს და პირობას მეორის - ფიზიკურ ინვესტირების განხორციელებისათვის, ამიტომაც პროექტი იწყება ინსტიტუციონალური შესწავლით მუნიციპალური აუდიტით.

საზოგადოდ, მუნიციპალური აუდიტი მოიცავს მუნიციპალიტეტების ფინანსების, სამენეჯერო საქმიანობისა და ტექნიკური შესაძლებლობების შესწავლას. ზოგ მუნიციპალიტეტებს შესაბამისი სამუშაოების განსახორციელებლად არ გააჩნია სათანადო ბაზა. კერძოდ, ისინი არ ფლობენ საკმარის ფინანსურ ინფორმაციას მათ საკუთრებაში არსებული საწარმოების შესახებ; საწარმოებიდან მათ სრულად არ წარედგინებათ კვარტალური და წლიური ბალანსები, ფინანსური ანგარიშგება და სხვა ანგარიშგებათა დოკუმენტები, რაც კანონმდებლობით არის გათვალისწინებული.

მუნიციპალიტეტები არ ფლობენ საჭირო ფინანსურ ინფორმაციას და მოუზარალებია სააღრიცხვო სისტემა.

მუნიციპალური სამსახურების საქმიანობის ზოგადი მიმოხილვით გამოირკვა, რომ ამ სამსახურებს არ გააჩნიათ დებულებები და თანამდებობრივი ინსტრუქციები.

სირთულეებია მუნიციპალიტეტების ტექნიკური განყოფილებების მიერ ინფორმაციის მოპოვების მხრივ, რის გამოც ისინი თავიანთ ძირითად ფუნქციას ვერ ასრულებენ. ეს განყოფილებები ვერ ფლობენ ინფორმაციას მათ საკუთრებაში არსებული ტექნიკური საშუალებების შესახებ, არ გააჩნიათ ინვენტარიზაციის მასალები, დაქვემდებარებულ საწარმოთა ტექნოლოგიური რუკები და ტექნიკური პასპორტები.

ყოველივე აღნიშნული ცხადად მიუთითებს მუნიციპალიტეტებში არსებულ ისეთ მეტად მნიშვნელოვან პრობლემაზე, როგორცაა სააღრიცხვო სისტემის მოუზარაბლობა.

რადგან შევეხეთ მუნიციპალურ აუდიტს უნდა ვთქვათ, რომ მისი ძირითადი შედეგი უნდა იყოს საერთო მმართველობითი საქმიანობის და მუნიციპალური საინვესტიციო შესაძლებლობების სამართლიანი შეფასება.

მუნიციპალურმა აუდიტმა უნდა მოახდინოს მმართველობითი საქმიანობისა და მუნიციპალური საინვესტიციო შესაძლებლობების შეფასება.

ამ შეფასების მიღების შემდეგ საჭიროა გარკვეული ღონისძიებების გატარება, ვიდრე ხელმოწერილი იქნება პროექტის მთავარი დოკუმენტი - მუნიციპალური განვითარების

შეთანხმება, ეს კი შემდეგნაირად უნდა განხორციელდეს:

აუდიტორების რეკომენდაციების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტებმა უნდა მოამზადოს ფინანსური და ადმინისტრაციული რეაბილიტაციის გეგმა და განისაზღვროს ადმინისტრაციული, ფინანსური და ტექნიკური სამუშაოები, რათა თავის-თავზე აიღოს ადგილობრივი რეგულირების საქმიანობა. ამ ეტაპზე გეგმის სისრულეში მოსაყვანად საჭირო ტექნიკურ დახმარებას და კომპიუტერულ ტექნიკას მუნიციპალიტეტები მიიღებენ პროგრამის მაკოორდინებელი რგოლიდან.

ქვემოთ ჩვენ დეტალურად გვექნება საუბარი ფინანსურ-ადმინისტრაციული რეაბილიტაციის და მის საფუძველზე დამუშავებულ პრიორიტეტულ საინვესტიციო გეგმებზე. მანამდე კი მოკლედ შევხვით მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის პროექტის ინსტიტუციონალური კომპონენტის შემადგენელ ნაწილებს.

თავიდანვე უნდა ავლნიშნოთ, რომ ეს კომპონენტი საკმაოდ ფართოა და მრავალმხრივი სამუშაოების გამხორციელებას ითვალისწინებს, თუმცა იგი ძირითადად კონცენტრირდება 2 პრიორიტეტზე: მართვის გაუმჯობესებაზე მუნიციპალურ დონეზე და ცენტრალური მთავრობის შესაძლებლობების გაძლიერებაზე დაგეგმილი დეცენტრალიზაციის პროგრამის ეფექტურად განხორციელებისათვის.

თავის მხრივ, მუნიციპალურ დონეზე ინსტიტუციონალური განვითარების ქვე-კომპონენტი ითვალისწინებს მუნიციპალიტეტებისათვის შემდეგი სახის სამუშაოების შესრულებას:

მუნიციპალიტეტების საერთო მართვის გაუმჯობესება, რომელიც თავის მხრივ მოიცავს მუნიციპალური განვითარების ხელშეკრულების მომზადებას პროექტში მონაწილე 12 მუნიციპალიტეტებისათვის; ორგანიზაციისა და მართვის გაუმჯობესებას, მუნიციპალურ დაგეგმვის პროგრამირების პროცედურების გაძლიერებას, პერსონალის რესურსების დაგეგმვას, ფიზიკური ინვესტიციების პროექტების მართვას, ვინრო დარგობრივ დაგეგმვას ისეთ სფეროებში, როგორცაა: სოციალური პროგრამები, სუბსიდირების მართვა, კომუნალური მომსახურება, ჯანმრთელობის დაცვა, აგრეთვე წინა საინვესტიციო შესწავლების, მათ შორის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადებას იმ მუნიციპალური იურისდიქციის ქვეშ მყოფი საინვესტიციო პროექტებისათვის, რომლებიც გამოიღებენ განსაკუთრებით კარგ შედეგებს ხარჯების ამოღების თვალსაზრისით, ან განსაზღვრავენ შემდგომ ინოვაციურ ინვესტიციებს მუნიციპალიტეტების დასახმარებლად საერთო მოღვაწეობის გაუმჯობესებისათვის. პროექტის

ინსტიტუციონალური კომპონენტი ითვალისწინებს მუნიციპალურ სექტორში მართვის გაძლიერებას, რომელიც მოიცავს გაუმჯობესებულ ფინანსურ დაგეგმვას, ფინანსური ჩანაწერების სრულყოფას, გამარტივებული მინის რეესტრის შექმნას და ჩამოყალიბებას, აგრეთვე შემოსავლების აკრეფვის გაუმჯობესებას, დანახარჯების კონტროლს და ხარჯების დაფარვის სტრატეგიას, რომელიც მოიცავს ახალი პროცედურების განხორციელებას, რაც საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტს დროულად მოკრიფოს შემოსავლები და განსაზღვროს დანახარჯების პოტენციური წყაროები.

მუნიციპალურ დონეზე ინსტიტუციონალური განვითარების ქვე-კომპონენტის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია მუნიციპალური საინფორმაციო სისტემის მართვა, რომელიც მოიცავს მართვისათვის ორიენტირებულ საინფორმაციო სისტემებს და ვინრო დარგობრივ საინფორმაციო სისტემებს.

მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის პროექტის მეორე ქვე-კომპონენტი - ცენტრალური მთავრობის დონეზე მუნიციპალური განვითარების მართვა, რომლის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს მუნიციპალიტეტების ეროვნული საინფორმაციო სისტემების გაუმჯობესება. იგი თავის მხრივ მოიცავს საქართველოს მუნიციპალიტეტების საინფორმაციო სისტემების გეგმის შემუშავებას და საცდელ განხორციელებას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება მუნიციპალიტეტების შედარებითი შეფასების განხორციელება. გათვალისწინებულია აგრეთვე მუნიციპალიტეტების მართვის მოღვაწეობის მაჩვენებლების შეფასება და საზოგადოდ, შეფასებისა და კონტროლის ეფექტური სისტემების შემოღება.

ეროვნულ დონეზე ინსტიტუციონალური განვითარების თვალსაზრისით ითვალისწინებს მუნიციპალური განვითარების ხელშეკრულების მომზადებასა და ეროვნული საინფორმაციო სისტემების გაუმჯობესებას.

ცენტრალური ხელისუფლების დონეზე მუნიციპალური განვითარების სახეებია: პოლიტიკური ალტერნატივების ანალიზი და მუნიციპალურ ფინანსებზე რეგიონალური და დარგობრივი ინვესტიციების ზეგავლენის შეფასება, საიდანაც პირველი მოიცავს მუნიციპალური პოლიტიკის ალტერნატივების ანალიზს, ადმინისტრაციული პოლიტიკის ალტერნატივების ანალიზს და მრავალწლიან მუნიციპალური დაგეგმვას, ხოლო მეორე - მუნიციპალური ინვესტიციების გავლენის შეფასებას ჯანდაცვის, განათლების, ბინათმშენებლობის და ინფრასტრუქტურის დარგებში სხვა მიმდინარე ხარჯებზე და ამ

ინვესტირების შემდგომში კოორდინაციის ღონისძიებებს სოციალურ სექტორში.

პროექტის თანახმად მისი მართვის და განხორციელებისათვის საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, შექმნილია ორი რგოლი - „საქართველოს მუნიციპალურ პროგრამათა განხორციელების საკოორდინაციო ცენტრი“ და „მუნიციპალური განვითარების ფონდი“, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ დასახული პროგრამის რეალიზაცია ყველა მიმართულებით.

ასეთია ზოგადად პროექტის ინსტიტუციონალური კომპონენტის შემადგენლობა, რომლის წარმატებით განხორციელება საქართველოს მუნიციპალურ სამსახურებს მისცემს მრავალ სარგებელს.

უპირველეს ყოვლისა, შეიქმნება უფრო ეფექტური მუნიციპალური მართვა, რომელიც მიიღწევა პროგრამების სტიმულირებით, ფინანსირებით და უკეთესი მომსახურების ორგანიზებით. ყოველივე ეს ცხადია, ხელს შეუწყობს ადგილობრივ ხელისუფლებას ვალდებულებათა შესრულებაში.

უფრო კონკრეტულად, რომ ჩამოვყალიბოთ ინსტიტუციონალური კომპონენტის წარმატებით განხორციელება მოგვცემს შემდეგ სარგებელს:

— ეროვნულ დონეზე:

- 1. მუნიციპალური პოლიტიკის ალტერნატივების შესწავლა და ანალიზი;
- 2. მთავრობათა შორისი ფინანსური ურთიერთობა;
- 3. რეგიონალური და სექტორული ინვესტირების გავლენის შეფასება მუნიციპალურ ფინანსებზე.

— მუნიციპალურ დონეზე:

- 1. მუნიციპალური მართვის გაუმჯობესება;
- 2. მუნიციპალური ორგანიზაციის გაუმჯობესება, რაც გამოიხატება საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეწყობასა და გაადვილებული ადმინისტრაციული პროცედურების დანერგვაში;
- 3. მუნიციპალური და-გეგმვისა და პროგრამირების პროცედურების გაუმჯობესება.

გარდა აღნიშნულისა, ორგანიზებული იქნება სწავლების ფართო ქსელი, სემინარებისა და კურსების ჩათვლით, ყველა იმ საკითხებზე, რომელთა საჭიროებაც განსაზღვრული იქნება აუდიტის და სხვა მასალების მიხედვით. ინსტიტუციონალური კომპონენტის ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების შეთანხმების მომზადება და მუნიციპალური განვითარების ხელშეკრულება, რომელიც გაფორმდა მუნიციპალიტეტებსა და მუნიციპალურ პროგრამების განხორციელების

საკოორდინაციო ცენტრს შორის.

მუნიციპალური განვითარების შეთანხმება შედგება ორი ნაწილისაგან - ფინანსურ-ადმინისტრაციული რეაბილიტაციის გეგმისა და პრიორიტეტული საინვესტიციო გეგმისაგან, რომლებიც ფაქტიურად განსაზღვრავენ მუნიციპალიტეტების განვითარების გზებსა და საშუალებებს. საგულისხმოდ და მნიშვნელოვნად მიგვაჩნია იმის აღნიშვნა, რომ დასახელებული გეგმებიდან პირველადობა ენიჭება ფინანსურ-ადმინისტრაციული რეაბილიტაციის გეგმის დამუშავებას, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფინანსურ-ადმინისტრაციული რეაბილიტაციის გეგმამ უნდა განსაზღვროს და აქედან გამომდინარე უნდა დამუშავდეს პრიორიტეტული საინვესტიციო გეგმა, რომელიც დაადგენს იმ სფეროებს, სადაც აუცილებლად საჭიროა ლოკალური ინვესტირება.

საზოგადოდ მუნიციპალური განვითარების ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ის, რომ საშუალება მისცეს მუნიციპალიტეტს განახორციელოს მომსახურების პრიორიტეტული ღონისძიებები. ამ მიზნების მისაღწევად ხელშეკრულება მუნიციპალიტეტს გაუხსნის გზას ეფექტურად და დროულად გაატაროს მუნიციპალური რესტრუქტურული ზაცია, გააძლიეროს მმართველობითი შესაძლებლობები, რესურსების მობილიზაციის მეშვეობით გააუმჯობესოს ფინანსური მდგომარეობა და მოიპოვოს მუნიციპალური ინვესტიციები არსებული ფინანსური შესაძლებლობების საფუძველზე.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, სათანადო ვალდებულებების შესრულებაა საჭირო. კერძოდ მუნიციპალიტეტებმა უნდა დაადასტუროს, რომ იგი თანახმაა განახორციელოს ფინანსურ-ადმინისტრაციული რეაბილიტაციის გეგმით გათვალისწინებული

მუნიციპალური განვითარების ხელშეკრულება საშუალებას აძლევს მუნიციპალიტეტს განახორციელოს მომსახურების პრიორიტეტული ღონისძიებები.

ღონისძიებები, მიიღოს სააუდიტო რეკომენდაციები და ხელშეკრულების მოქმედების დროს, აღნიშნული გეგმით გათვალისწინებული საქმიანობა წარმართოს მუნიციპალური პროგრამების განხორციელების საკოორდინაციო ცენტრის ზედამხედველობით.

თავის მხრივ, მუნიციპალური პროგრამების განხორციელების საკოორდინაციო ცენტრმა უნდა დაადასტუროს, რომ იგი უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ დახმარებას საზედამხედველო ფუნქციების შესრულებაში, ტექნიკურ დახმარებას - კონკრეტული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებებისათვის და ფინანსურ დახმარებას - მუნიციპალური მართვის

მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისათვის.

მაშასადამე, მუნიციპალური განვითარების შეთანხმება წარმოადგენს ძირითად დოკუმენტს პროექტის განხორციელების გზაზე, სადაც ყოველმხრივ უნდა იყოს განსაზღვრული და გააზრებული მუნიციპალური რეფორმების მიზნები და მიმართულებები. მას, როგორც წესი, თან უნდა ერთვოდეს მუნიციპალური აუდიტის მასალები და ტექნიკური დახმარების პროგრამა, აგრეთვე ზემოთაღნიშნული ფინანსური და ადმინისტრაციული რეაბილიტაციის გეგმა და პრიორიტეტული ინვესტიციების გეგმა.

ფინანსური რეაბილიტაციის გეგმა ეფუძნება მუნიციპალური აუდიტის შედეგებს და მიზნად ისახავს ფინანსური რეფორმების განხორციელებას მუნიციპალიტეტების მიერ. აქ გათვალისწინებულ უნდა იყოს როგორც სპეციალური, ისე კონკრეტული ღონისძიებები სათანადო მაჩვენებლების აღნიშვნით.

ადმინისტრაციული რეაბილიტაციის გეგმა პირველ რიგში უნდა ითვალისწინებდეს მოსახლეობის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, რომლის ერთ-ერთ საშუალებას

ფინანსური რეაბილიტაციის გეგმა მიზნად ისახავს ფინანსური რეფორმების განხორციელებას მუნიციპალიტეტების მიერ.

წარმოადგენს გადასახსნების გადამხდელებთან ურთიერთობების გაუმჯობესება. ამავე დროს, გეგმით გათვალისწინებული უნდა იყოს მუნიციპალური ინსტიტუტების ფუნქციონირება, პერსონალის ორგანიზაცია და საკომუნიკაციო სტრატეგია, რაც თავის მხრივ გულისხმობს მუნიციპალური საბჭოს შეხვედრებს, ბიუჯეტის მომზადების განრიგის შემუშავებას, სწავლებების სტრატეგიის განსაზღვრას, პუბლიკაციებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში და ა.შ.

ამრიგად, მუნიციპალური განვითარების შეთანხმება არის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი პროექტის რეალიზაციის მიმართულებით და მის სწორად შედგენაზე და განხორციელებაზე ბევრად იქნება დამოკიდებული არა მხოლოდ პროექტის ბედი არამედ საქართველოს მუნიციპალური განვითარების მომავალიც.

მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის პროექტში ჩადებულია ძალზედ ინოვაციური მიდგომა მუნიციპალური განვითარების შეთანხმების მიმართ, რომელიც როგორც ქვემოთ ვთქვით იდება ცენტრალურსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის. მსოფლიო ბანკის თვალსაზრისით საინტერესოა 4 ძირითადი მახასიათებელი.

მუნიციპალური განვითარების შეთანხმების ორივე მხარე შეთანხმდებიან სამუშაო პროგრამაზე, მათი უფლებებისა და ვალდებულებების გათვალისწინებით. მხოლოდ ამ ხელშეკრულებების გაფორმების შემდეგ

მოხდება მუნიციპალიტეტის დაფინანსება. თუმცა მსოფლიო ბანკი იჩენს დიდ სიფრთხილეს. რესურსების მიწოდებისას ინვესტირებისათვის, აუცილებელია დავრწმუნდეთ იმაში, რომ რესურსები, მაქსიმალურად იქნება გამოყენებული, ანუ შეზღუდული და ფიქსირებული თანხის გამოყენებით უზრუნველყოფილი იქნება მაქსიმალური შედეგის მიღწევა და ამით გაიზრდება მომსახურების ხარისხი, მივანოდებთ მოსახლეობას სრულყოფილ პასუხებს მათსავე დასმულ კითხვებზე. მოსახლეობის წინაშე პასუხისმგებლობაში ვგულისხმობ ადგილობრივი მოსახლეობის აზრის გამოყენებას პირველადი ადაპტაციის პროცესში. ასეთი სახის მომსახურება სრულყოფილი და ეფექტიანი იქნება იმ შემთხვევაში თუ ინვესტირება იქნება უწყვეტი. ჩვენ გვჯერა, რომ ამ მხრივ წინააღმდეგობა გამორიცხულია. ეფექტიანობაში კი იგულისხმება ის შედეგი, რომელიც ყველასათვის იქნება ხელმისაწვდომი და გამჭირვალე.

პროექტის მეორე მახასიათებელი გახლავთ ის, რომ იგი ღიაა და ნებისმიერ დროს დაიტევს იმ სამუშაოთა ნუსხასაც, რომელსაც ქართული მხარე ჩათვლის აუცილებლად, თუ პროექტი შეუფერხებლად

დაიწყებს განხორციელებას საქართველოს მუნიციპალიტეტებს შესაძლებლობა ექნებათ მიიღოს დამატებითი დაფინანსება მეორე წელსვე. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული ვალდებულება მუნიციპალიტეტებში არ შესრულდება, ისინი დისკვალიფიცირებული იქნებიან და მათ შეუწყდებათ დამატებითი დაფინანსება. ეს კი ნიშნავს იმას, რომ მუნიციპალიტეტი შეიცვლება სარეზერვო მუნიციპალიტეტით, რომელიც წინასწარ აფიქსირებს მუნიციპალური მართვის რესტრუქტურული ზაციის პროცესში მონაწილეობის სურვილს. ამავე დროს ამ პროცესს შეიძლება ერთგვარი კონკურსიც ეწოდოს.

მესამე მახასიათებელი: პროექტის განხორციელება დაიყოფა ბევრ ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ პუნქტებად. ცენტრალურ ხელისუფლებასა და

დაკისრებული ვალდებულების შესრულებას შინაშე მხარეები პირითადი მუნიციპალიტეტი შეიცვლება სარეზერვო მუნიციპალიტეტით

მუნიციპალიტეტს შორის დადებული ხელშეკრულება არ ნიშნავს იმას, რომ ფონდები გამოიყოს მთლიანად (ანუ ოთხნობიანი პროექტისათვის გათვალისწინებული თანხები).

მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის პროექტის განხორციელების თითოეული ეტაპი იქნება ღრმად ანალიზირებული და შემოწმებული, მხოლოდ მის შემდეგ შემუშავდება მომავალი

წლის პროგრამა, რომელიც დაეფუძნება პირველად ეტაპზე ადგილობრივ დონეზე მიღებულ შედეგებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მაღალი დადებითი მაჩვენებლები ამა თუ იმ საქმიანობის შედეგისა პირდაპირ განსაზღვრავს და განაპირობებს მომავალი წლის დაფინანსების ზრდასაც. შესაბამისად დაბალი მაჩვენებლის შემთხვევაში შემცირდება დამატებითი დაფინანსებაც.

პროექტის მეოთხე მახასიათებელი: ბალანსირებული მიდგომა, ვინაიდან მუნიციპალიტეტი ვალდებულია წარმოადგინოს ძალზე სრულყოფილი პროგრამა, რომლის საფუძველზეც მოხდება მისი განხორციელება ნაბიჯ-ნაბიჯ შესაბამისი დაფინანსებით. საინვესტიციო თანხები მსოფლიო ბანკიდან გამოიყოფა მხოლოდ გარკვეული ღონისძიებების გატარების შემდეგ. პირველი მათგანი გახლავთ მუნიციპალური აუდიტი, რომელზეც ადრე გვქონდა საუბარი.

საინტერესოა განვიხილოთ იმ ცალკეული პროექტების განხორციელების ეტაპები, რომლებიც განხორციელდება თითოეულ მუნიციპალიტეტში.

საინვესტიციო თანხები მსოფლიო ბანკიდან გამოიყოფა მხოლოდ გარკვეული ღონისძიებების გატარების შემდეგ.

ცალკეული მუნიციპალიტეტი წარმოადგენს მცირე პროექტის კონცეფციის ფორმას და მუნიციპალური განვითარების ფონდი განახორციელებს პროექტის ამ ფორმის შეფასებას შემდეგი კრიტერიუმებით:

ცალკეული მუნიციპალიტეტი ადგიანს მცირე პროექტს.

✓ შეესაბამება თუ არა პროექტი მუნიციპალური განვითარების ხელშეკრულებას ანუ ჩართულია თუ არა პროექტი პრიორიტეტულ საინვესტიციო გეგმაში;

✓ ზოგადი ფინანსური და ტექნიკური შეფასება. აკმაყოფილებს თუ არა წარმოდგენილი პროექტის ფინანსურ კრიტერიუმებს პროექტის ხარჯის, სფეროს და სხვა კრიტერიუმებით;

✓ პროექტის განხორციელების შემდგომ ეტაპებზე: პროექტის საკოორდინაციო რგოლთან ერთად თუ რამდენად ხორციელდება მუნიციპალიტეტებში მუნიციპალური განვითარების ხელშეკრულებები; წინსვლა ინსტიტუტციონალური და მმართველობითი რეფორმის განხორციელებაში;

მსოფლიო ბანკს ამ პროექტთან და მის მიზნებთან დაკავშირებით გააჩნია თავისი შეხედულებები, რაც იმაში მდგომარეობს, რომ თანხები პირველ რიგში უნდა წავიდეს აღდგენაზე და მცირე მშენებლობაზე.

აღჭურვილობას ნაკლები პრიორიტეტი ენიჭება. ამის შემდგომ მუნიციპალური განვითარების ფონდი იძლევა თანხმობას პროექტის დეტალური შესწავლის დაწყებაზე.

კონტრაქტის მართვის კონსულტანტების ამორჩევა იწყება პირველი ეტაპის ბოლოს, ზოგიერთ შემთხვევაში თუ ნათელია, რომ პროექტის დამტკიცება არ გამოიწვევს სირთულეებს, განხორციელდება პირველი ეტაპის პარალელურად. მუნიციპალური განვითარების ფონდი შეარჩევს კონტრაქტის მართვის კონსულტანტების გრძელ სიას დაახლოებით 12-15 პირი ან საკონსულტაციო ფირმა და გადასცემს მუნიციპალიტეტს ე.წ. მოკლე სიის შერჩევისათვის ე.ი. ამ სიიდან 4 კონსულტატის შერჩევისათვის. ამის შემდგომ ეს შერჩევა მტკიცდება მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ და ამ 4-5 კონსულტანტს შორის ცხადდება კონკურსი. ეგზავნებათ ტექნიკური დავალება სამუშაოს აღწერა და უკანასკნელნი წარმოადგენენ თავის წინადადებას. შერჩევა გარკვეული კრიტერიუმებით (გამოცდილება ანალოგიური სამუშაოების განხორციელებაში; ენების ცოდნა; წარმოდგენილი სამუშაო გეგმის მოსაზრებები და ხარისხი და ა.შ.) ხდება ერთობლივი კომიტეტის მიერ რომლის შემადგენლობაშიც შევლენ მუნიციპალური განვითარების ფონდის, მუნიციპალიტეტისა და პროექტის მაკოორდინებელი რგოლის წარმომადგენლები. ამის შემდგომ კონტრაქტის მართვის კონსულტანტები იქცევა პროექტში დაკავებულ მხარედ, რომელიც ახორციელებს ყოველდღიურ სამუშაოებს და შესაძლებლობის ფარგლებში მონაწილეობას იღებს პროექტის დეტალურ დამუშავებაში.

წარმოადგენილი სამუშაო გეგმის მოსაზრებები და ხარისხი და ა.შ.) ხდება ერთობლივი კომიტეტის მიერ რომლის შემადგენლობაშიც შევლენ მუნიციპალური განვითარების ფონდის,

მუნიციპალიტეტისა და პროექტის მაკოორდინებელი რგოლის წარმომადგენლები. ამის შემდგომ კონტრაქტის მართვის კონსულტანტები იქცევა პროექტში დაკავებულ მხარედ, რომელიც ახორციელებს ყოველდღიურ სამუშაოებს და შესაძლებლობის ფარგლებში მონაწილეობას იღებს პროექტის დეტალურ დამუშავებაში.

მესამე ეტაპი - პროექტის დეტალური დამუშავება, რომელშიც მსოფლიო ბანკი გულისხმობს ტექნიკური ეკონომიკური დასაბუთების და პროექტის პროფილის ფორმის შექმნას. მსოფლიო ბანკის კრედიტის თანხები ამ

პროექტში მონაწილეობას დაგულოვან კონსულტანტის შერჩეული კონსულტანტი.

საქმიანობისათვის არ უნდა დაიხარჯოს. მსოფლიო ბანკი პროექტის ამ ეტაპის წინ ჩაატარებს სწავლებებს. მოკლედ, ტექნიკური დამუშავება უნდა განხორციელდეს მუნიციპალიტეტების მიერ. ამ ეტაპზე უნდა გამახვილდეს ყურადღება პროექტის ხარისხიანად შემუშავებაზე, რადგანაც თუ პროექტის მიმდინარეობის პერიოდში გაირკვევა, რომ არ იყო გათვალისწინებული ყველა ასპექტი და ამ მიზეზით არ შეიძლება პროექტის შედეგების გამოუყენებლობა, შეიძლება მსოფლიო ბანკმა თანხმობა არ მისცეს კონტრაქტის გაგრძელებას. ამიტომ თვითეული

პროექტის ყველა ასპექტი გათვალისწინებული უნდა იყოს სწორედ ამ ეტაპზე. პროექტის დეტალური დამუშავების შემდეგ ანუ ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების და პროექტის პროფილის ფორმის დამტკიცების შემდეგ მუნიციპალური განვითარების ფონდი განახორციელებს ამ პროექტის ტექნიკური, ფინანსური, და ეკონომიკური ასპექტების დეტალურ შესწავლას. აქ გათვალისწინებული იქნება, როგორც სესხის პირობები და მუნიციპალიტეტების გადახდისუნარიანობა ასევე ეკონომიკური შედეგები, ტექნიკური სიცოცხლისუნარიანობა და ა.შ. ამის შემდგომ ეს დეტალური პროექტები დასამტკიცებლად გადაეცემათ რვა კაციან მუნიციპალური განვითარების ფონდის საკოორდინაციო კომისიას, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას დაფინანსებაზე.

ამის შემდგომ იწყება ტენდერის პროცედურა: განხორციელება დეტალური ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების სატენდერო დოკუმენტაციებად გადაკეთება; გაზეთში განცხადება ან მოკლე სია; წინასწარი კვალიფიკაცია, რომელიც შეფასდება კონტრაქტის მართვის კონსულტანტების, მუნიციპალური განვითარების ფონდისა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების მიერ; სატენდერო დოკუმენტების დაგზავნა; მათი მიღება მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ; მათი გახსნა და შეფასება სატენდერო კომისიის მიერ, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ კონტრაქტის მართვის კონსულტანტების, მუნიციპალური განვითარების ფონდისა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები. ზოგადად ტენდერი ჩატარდება მსოფლიო ბანკის წესებით. ეს მოთხოვნა განსაზღვრულია საკრედიტო ხელშეკრულებით.

მუნიციპალური დაფინანსების პირობები:

1. მუნიციპალური დაფინანსების მაქსიმალური თანხა არის 500.000 აშშ დოლარის ექვივალენტი (შეიძლება გამოიხატოს);

მუნიციპალური დაფინანსების მაქსიმალური თანხა არის 500.000 აშშ დოლარი.

2. მონაწილე მუნიციპალიტეტების რესურსებიდან უზრუნველყოფილი დაფინანსების მინიმუმი არის მუნიციპალური საინვესტიციო პროექტის საერთო თანხის 20%. აქედან მთავრი თანხა წავა დღგ-ს გადახდაზე და ადგილობრივ დაზღვევაზე.

3. მუნიციპალური დაფინანსება განხორციელდება ლარებში, რომელიც განისაზღვრება თანხის გადარიცხვის შესაბამისი თარიღით.

4. დაბრუნების პირობები და

საპროცენტო განაკვეთი შემდეგნაირად არის გათვალისწინებული:

5. მუნიციპალური დაფინანსების ძირითადი თანხის 50% უნდა დაბრუნდეს არა უგვიანეს 10 წლის განმავლობაში, რომელიც მოსდევს შეღავათიან პერიოდს;

6. შეღავათიან პერიოდი არ აღემატება ერთ წელიწადს;

7. ძირითადი თანხის 50%-ზე დარიცხული პროცენტი განისაზღვრება 20%-ით იმ მუნიციპალური საინვესტიციო პროექტებისათვის, რომლებიც გათვალისწინებული არიან შემოსავლის მომტანი ობიექტებისათვის;

8. ძირითადი თანხის 50%-ზე დარიცხული პროცენტი განისაზღვრება 15 %-ით იმ მუნიციპალური საინვესტიციო პროექტებისათვის, რომლებიც გათვალისწინებული არიან არა შემოსავლიან ობიექტებისათვის;

9. მუნიციპალური დაფინანსების ძირითადი თანხის დარჩენილი 50% მიწოდებული იქნება, როგორც გრანტი.

ამ კრედიტების დაბრუნებას ფინანსთა სამინისტრო უდგას გარანტიად, მაგრამ სრულიად მოსალოდნელია, რომ სესხის დაუბრუნებლობის

მუნიციპალური საინვესტიციო პროექტების ძირითადი თანხის 50%-ზე დარიცხული პროცენტით განისაზღვრება 15-20%-ით, ხოლო დარჩენილი 50% მიწოდებული იქნება როგორც გრანტი.

შემთხვევაში მუნიციპალიტეტებს მოეთხოვებათ ამ სესხის ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდა.

რაც შეეხება მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტს ხელმოწერილია 1994 წლის 10 ნოემბერს, ხოლო ძალაში შევიდა 1995 წლის 19 იანვარს. როგორც

კრედიტების დაბრუნებას გარანტიად უდგას ფინანსთა სამინისტრო.

ქვემოთ ვთქვით ეს პროექტი იყო პირველი, რომლითაც მსოფლიო ბანკი დაინტერესდა საქართველოს მუნიციპალური სექტორით. ხელშეკრულების თანახმად მსოფლიო

ბანკმა გამოყო კრედიტი 18.0 მლნ აშშ დოლარის ოდენობით. ამ პროექტის თანადაფინანსებლები არიან (იხ. ცხრილი №6 და გრაფიკი №3) USAID - 0.3 მლნ. აშშ დოლარი; საქართველოს მთავრობის წილი - 1.4 მლნ. აშშ დოლარი. სულ პროექტის ღირებულებაა 19.7 მლნ. აშშ დოლარი.

პროექტის შესრულების ვადა იყო 3 წელი, მაგრამ საქროებისამებრ გაიზარდა კიდევ ერთი წლით 1998 წლის 31 დეკემბრამდე, რადგანაც კრედიტიდან დაზოგილი თანხებით შესაძლებელი გახდა ახალი სამუშაოების

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის განხორციელების საფუძველზე დაგეგმილი 18.0 მლნ აშშ დოლარის ოდენობით.

შესრულება, რომლებსაც ზემოთ განვიხილავთ. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის განხორციელებულია მუნიციპალური მომსახურების განვითარების დამოუკიდებელი სააგენტო.

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტი ორი მთავარი კომპონენტისაგან შედგება, ესენია: ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის

ნაწილში პროექტი მიზნად ისახავს:

- 1) პროექტის ეფექტურად განხორციელებას;
- 2) ადგილობრივი შესაძლებლობების გაღრმავების პროცესის წამოწყებასა და დროთა განმავლობაში განვითარებას ასეთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებით, როგორებიცაა საპროექტო და ფინანსური მართვა, საქონლისა და მომსახურების შესყიდვა, საინვესტიციო ანალიზი, გარემოს შეფასება და მართვა;

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის შესრულების ვადა იყო 3 წელი, მაგრამ საბრუნავისაგან განიარაღა კიდე ერთი წელი 1998 წლის 31 დეკემბრამდე.

საინვესტიციო და ინსტიტუციონალური განვითარების კომპონენტები. მოკლე-ვადიანი მიზნები შემდეგია:

- ა) უმნიშვნელოვანესი საქალაქო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შემდგომი გაუარესების შეჩერება;
- ბ) მუნიციპალური მომსახურების მართვისა და ხარისხის გაუმჯობესება სტაბილურად და გარემოსათვის ზიანის მიუყენებლად. პროექტის გრძელ-ვადიანი მიზნები შემდეგია:
- ა) ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ ნდობის გაღრმავება;
- ბ) სამომავლო რეფორმებისათვის საფუძვლის მომზადება;
- გ) სოციალური სტაბილურობის აღდგენის ხელშეწყობა.

როგორც ვთქვით მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტი ორი კომპონენტისაგან შედგება. თითოეულის მიზნებია:

ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის საინვესტიციო ნაწილში პროექტის მიზანია დაიცვას არსებული ინფრასტრუქტურა შემდგომი გაფუჭებისაგან და განახლოს ზოგიერთი აუცილებელი ეკონომიკური და სოციალური მომსახურების მიწოდება:

- 1) გათბობისა და ენერჯის დაზოგვის სისტემები სკოლებსა და სავადმყოფოებში;
- 2) საქალაქო ტრანსპორტი;
- 3) წყალმომარაგება;
- 4) კანალიზაცია;
- 5) ნაგვის შეგროვება და გადაყრა.

ინსტიტუციონალური განვითარების

3) ერთიანი სტრატეგიისა და სამოქმედო პროგრამების შემუშავებას, ძირითადად ადგილობრივ დონეზე, რათა უზრუნველყოფილი იქნას უმნიშვნელოვანესი მუნიციპალური სამსახურების ფუნქციონირება და სერიოზული ეკოლოგიური პრობლემების მოგვარება ან შემცირება საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლში.

პირველადმა და მეორადმა ზომებმა, რომლებიც გატარდა სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტებში (სკოლები და სავადმყოფოები) შეაჩერა ამ ობიექტების მდგომარეობის შემდგომი გაუარესება. წყალგაყვანილობისა (განსაკუთრებით თბილწყალკანალში) და საქალაქო ტრანსპორტის (თბილისის მეტრო) დარგში მიღწეული გაუმჯობესება ქვეთრებისა და შემოსავლების მოკრეფის სისტემებში სწორედ პროექტის განხორციელების შედეგია. არანაკლებ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პროექტმა საქალაქო მომსახურების გაუმჯობესებაში, რაც სტაბილურად და გარემოსათვის ზიანის მიუყენებლად წარმოებს. მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის პროექტი ხელისუფლებასთან მეტად კონსტრუქციული დიალოგის შედეგია და იგი სამომავლო რეფორმებისათვის მტკიცე საფუძველს ქმნის.

ჯერ-ჯერობით დაუშთავრებელია სამი კონტრაქტი საერთო ღირებულებით 4 მლნ. აშშ დოლარი:

1. ზღვის ჯებირი ბათუმში;
2. თბილისის მეტროს ცენტრალური

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტმა საქალაქო მომსახურების გაუმჯობესებაში.

სარეგულაციო-საკონტროლო პუნქტი;

3. თბილისის განათლების ცენტრი. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტი ითვალისწინებს მუნიციპალური მომსახურების გაუმჯობესებას თბილისში, ბათუმში, ფოთში და სხვა მუნიციპალიტეტებში. როგორც ზემოთ ვთქვით პროექტს სამ წელზე მეტია, რაც ახორციელებს „მუნიციპალური მომსახურების განვითარების

დამოუკიდებელი სააგენტო“, რომელიც შეიქმნა სპეციალურად აღნიშნული პროექტის განხორციელების მიზნით. ამჟამად პროექტი

სამოქალაქო ტრანსპორტიდან პროექტში შედიოდა, როგორც მეტრო ასევე მიწის ზედა ტრანსპორტი.

ჯერ-ჯერობით დაუშთავრებალია საში კონტრაქტი საერთო ღირებულებით 4 მლნ. აშშ. დოლარი.

დასრულების სტადიაში შედის. იგი უნდა დამთავრდეს 1998 წლის 31 დეკემბერს. ქვემოთ მოყვანილია პროექტის დაყოფა კომპონენტებად, თითოეული კომპონენტის მიზნები და შესრულებულ სამუშაოთა მიმოხილვა (იხ. ცხრილი №7).

საინტერესოა აღინიშნოს ის ფაქტი რომ, როდესაც საუბარი იყო სკოლების შეკეთებაზე ორი მოსაზრება წარმოიშვა: ერთი რომ, გაკეთებულიყო რამდენიმე სკოლა საფუძვლიანად და მეორე, შეეკეთებინათ თითქმის ყველა სკოლა თითოეულზე მცირე

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტს ანტირაციულად მუნიციპალური მოსახლეობის განვითარების დამოუკიდებელი სააგენტო

დანახარჯებით (პირველადი თბოიზოლაცია). უპირატესობა ქართველმა ექსპერტებმა მიანიჭეს მეორე მოსაზრებას გაკეთებულიყო ბევრი და ნაწილობრივ. ეს იმით იქნა ახსნილი, რომ იმ პერიოდში სკოლებში მეცადინეობები არ მიმდინარეობდა სიცივის გამო. ამიტომაც მოხდა უმეტესი სკოლების პირველადი თბოიზოლაცია (ფანჯრების, მინების ჩასმა და სხვა).

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის მიხედვით თბილისის მუნიციპალიტეტში გამოიყო შემდეგი კომპონენტები:

1. გათბობა/ენერჯის დაზოგვა. ამ კომპონენტში ჩატარდა შემდეგი სამუშაოები:
 - 1.1. პირველადი თბოიზოლაცია (კარ-ფანჯრების გამოცვლა და შუშების ჩასმა) ჩატარდა 212 სკოლასა და 24 საავადმყოფოში.
 - 1.2. მეორადი თბოიზოლაცია:
 - ა) სახურავის თბოიზოლაცია - 108 სკოლა და 15 საავადმყოფო;
 - ბ) დამოუკიდებელი ელექტროკვების დამონტაჟება - 22 სკოლა;
 - გ) გასათბობი ქვაბების შესყიდვა და დამონტაჟება 13 საავადმყოფო და 46 სკოლა.

ათვისებულია და გადახდილია 5.118.045 აშშ დოლარი.
 გამოყოფილი თანხა 4.634.700 აშშ დოლარი.
 ბალანსი (-) 483.345 აშშ დოლარი.

2. მეტროს მიენოდა სხვადასხვა სახის სათადარიგო ნაწილი სატუმბო სადგურის რეაბილიტაციისათვის. აგრეთვე სათადარიგო ნაწილები მეტროს მოძრავი შემადგენლობისათვის, რელსები და შპალები. ენერგომომარაგების სისტემის რეაბილიტაციისათვის სააგენტომ შეისყიდა 8 კმ. მაღალი ძაბვის კაბელი, ტრანსფორმატორები, აკუმულატორები და ნათურები. მეტრომ მიიღო რუსეთში შეკეთებული ორი მთავარი ესკალატორის ლილვი თავიანთი სათადარიგო ნაწილებით. მეტროს ხელმძღვანელობის თხოვნით მუნიციპალური მომსახურების განვითარების დამოუკიდებელი სააგენტომ შეისყიდა 40 ცალი ყუტონების დასათვლელი მანქანა, რაც თავიდან პროექტის მიხედვით არ იყო

გათვალისწინებული, მაგრამ მგზავრთა რიცხვის გაზრდის გამო სასწრაფოდ დასჭირდა მეტროს პერსონალს. უკრაინულ კომპანიასთან ხელი მოეწერა კონტრაქტს გაბილეთების სისტემის მოწოდებასა და დამონტაჟებაზე. აქედან მსოფლიო ბანკი დააფინანსებს 157 ავტომატური საკონტროლო სისტემის შესყიდვას. სამონტაჟო სამუშაოებს აფინანსებს და ახორციელებს თბილისის მეტროპოლიტენი. სამუშაოები ამჟამად მიმდინარეობს.

ამ სამუშაოებისათვის მთლიანად ათვისებულია და გადახდილია 2.250.814 აშშ დოლარი.

დარჩენილია მეტროს ტელე-მართვის სიტემა 763.146 აშშ დოლარი.

სულ გამოყოფილია თანხა 3.013.960 აშშ დოლარი.
 ბალანსი -0

3. მიწისზედა ტრანსპორტი. თბილტრანს მიენოდა სხვადასხვა სათადარიგო ნაწილი ავტობუსებისა და ტროლეიბუსების პარკის რეაბილიტაციისათვის, რამაც გამოიწვია მუშაობის ეფექტიანობის გაზრდა და მგზავრთა უსაფრთხოების დაცვის გაუმჯობესება. მუნიციპალური მომსახურების განვითარების დამოუკიდებელი სააგენტომ აგრეთვე შეიძინა საკონტაქტო კაბელები, ავტოანძები, დამჭერები, საბურავები და სხვა სათადარიგო ნაწილები, რომლებიც სასწრაფოდ იყო საჭირო აღნიშნული კომპონენტისათვის.

მთლიანად ათვისებულია და გადახდილია 1.249.075 აშშ დოლარი.
 გამოყოფილი თანხა 1.214.050 აშშ დოლარი.
 ბალანსი (-) 35.025 აშშ დოლარი.

4. წყალმომარაგება. თბილწყალკანალს მიენოდა სხვადასხვა ზომისა და სიმძლავრის მრავალი ტუმბო, აკუმულატორი, მოკლეთალლოვანი რადიო-საკომუნიკაციო საშუალება, გამანაწილებელი სისტემები, წყალმომარაგების სატუმბო, წყალგამანაწილებელი და ენერგომომარაგების სისტემების განახლებისათვის. სააგენტომ შეისყიდა 7 ცალი წყლის მაგისტრალის შესაკეთებელი ავტომანქანა, რომლებიც გადაეცა წყალმომარაგების სამმართველოს, რათა შესაძლებელი იყოს გაჟონვის ან სხვა ავარიის შემთხვევაში წყალმომარაგების ქსელის სწრაფი შეკეთება. რადგანაც მწვავედ იდგა აფხაზეთიდან დევნილებით მჭიდროდ დასახლებული, თბილისთან მომიჯნავე სოფლებისათვის წყლის მიწოდების პრობლემა, სააგენტომ მსოფლიო ბანკის თანხმობით ჩაატარა ტენდერი და დააფინანსა კონტრაქტი წავეკისის შუალედური სატუმბო სადგურის აგებაზე, რაც თავიდან პროექტის მიხედვით არ იყო გათვალისწინებული. სააგენტომ საერთაშორისო კონკურენციული ვაჭრობით შეიძინა 4 ექსკავატორი, ავტომანქანა, თვითმცლელი და სამი ტექნიკური მომსახურების მანქანა.

მთლიანად ათვისებულია და გადახდილია 1.488.171 აშშ დოლარი.
გამოყოფილი თანხა 1.488.850 აშშ დოლარი.
ბალანსი 679 აშშ დოლარი.

5. ნარჩენი წყლები. ნარჩენი წყლების სამმართველოს მიენოდა სხვადასხვაგვარი დრენაჟული ტუმბო და ერთი კანალიზაციის გამწმენდი მანქანა, რამაც ნაწილობრივ გადაჭრა ნარჩენი წყლების მიერ ქუჩების დატბორვის პრობლემა. ამას გარდა, კანალიზაციის სისტემის შესაკეთებელი სამუშაოები ჩატარდა თბილისის ორ ქუჩაზე. გარდაბანს, რომელიც აგრეთვე თბილისის კომპონენტში შედის, მიენოდა პოლიეთილენის მილები და ტუმბოები, ხოლო სამუშაოები გარდაბანის გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაციაზე პრაქტიკულად დასრულებულია.

მთლიანად ათვისებულია და გადახდილია 687.845 აშშ დოლარი.
გამოყოფილი თანხა 698.860 აშშ დოლარი.
ბალანსი - 11.015 აშშ დოლარი.

6. მყარი ნარჩენები. მყარი ნარჩენების განთავსების მართვის გაუმჯობესებისათვის მყარი ნარჩენების სამმართველოს მიენოდა 14 ცალი ნაგავშიდი მანქანა, რომლებიც მუშაობენ და ემსახურებიან ნაძალადევის, დიდუბისა და ისნის რაიონებს (ეს რაიონები დასახელდა, როგორც სანიტარული თვალსაზრისით ყველაზე სერიოზული პრობლემების მქონე). სააგენტომ აგრეთვე შეიძინა 4 ცალი ქუჩის დამხვეტი მანქანა, რომლებიც ფუნქციონირებენ ქალაქის მიმდებარე მაგისტრალზე და მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს სანიტარული მდგომარეობა ზემოთხსენებულ მარშრუტებზე. მყარი

ნარჩენების სამმართველოს მიენოდა 200 ცალი აკუმულატორი, რამაც შესაძლებელი გახდა ამეშავეებინა ნაგავშიდი მანქანები, რომლებიც მანამდე უმოქმედოდ იდგნენ, აგრეთვე საბურავები და სხვა სათადარიგო ნაწილები.

მთლიანად ათვისებულია და გადახდილია - 355.974 აშშ დოლარი.
გამოყოფილი თანხა - 361.460 აშშ დოლარი.
ბალანსი - 5.486 აშშ დოლარი.

სულ თბილისის მუნიციპალიტეტის მიხედვით:
ათვისებულია და გადახდილია 11.149.924 აშშ დოლარი.

გამოყოფილი თანხა 11.411.880 აშშ დოლარი.
დარჩენილია - მეტროს ტელე-მართვის სისტემა - 763.146 აშშ დოლარი.
ბალანსი - (-) 501.190 აშშ დოლარი.

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის მიხედვით ბათუმის მუნიციპალიტეტში გამოიყო შემდეგი კომპონენტები:

1. წყალმომარაგება. ბათუმის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების სისტემა ნაწილობრივ გაუმჯობესდა მრავალი უვარგისი

თბილისის მუნიციპალიტეტის კომუნალურ ინფრასტრუქტურის მართვის სისტემა

ტუმბოს გამოცვლის შედეგად. წყალმომარაგების სამმართველოს მიენოდა მოკლეთალლოვანი რადიო - საკომუნიკაციო მოწყობილობა, რომელიც ხელს შეუწყობს წყალმომარაგების მუშაკებს წყალგანაწილების სისტემის მართვაში.

ათვისებულია და გადახდილია 502.911 აშშ დოლარი.
გამოყოფილი თანხა 821.970 აშშ დოლარი.
ბალანსი - 319.059 აშშ დოლარი.

2. ნარჩენი წყლები (კანალიზაცია). ბათუმის მუნიციპალიტეტის საკანალიზაციო ქსელების აღდგენისათვის მიენოდა 26 კმ. სიგრძის სხვადასხვა დიამეტრის აზბოცემენტის მილები, ასევე ნარჩენი წყლების სამმართველოს მიენოდა 14 დრენაჟული ტუმბო ბათუმის სატუმბო სადგურების რეაბილიტაციისათვის (სამონტაჟო სამუშაოები დაფინანსდება ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ). ბათუმის საკანალიზაციო სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულებულია. მუნიციპალიტეტის მოთხოვნის შედეგად მსოფლიო ბანკი დასთანხმდა დაეფინანსებინა კონტრაქტი ბიტუმის მიწოდებაზე, რომელიც სასწრაფოდ იყო საჭირო ქუჩების მოსასაფლალებლად კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოების დასრულების შემდეგ. შექმნილია ორი კანალიზაციის ქსელის გამწმენდი მანქანა ექსკავატორი და სხვა სხვადასხვა სახის ტექნიკა.

ათვისებულია და გადახდილია 1.061.712 აშშ დოლარი.

გამოყოფილი თანხა 1.064.710 აშშ დოლარი.
ბალანსი - 2.998 აშშ დოლარი.

3. მყარი ნარჩენები. ბათუმის მყარი ნარჩენების სამმართველოს მიენოდა 10 ცალი ნაგავმზიდი მანქანა და 50 ცალი ნაგვის კონტინერი ბათუმში მყარი ნარჩენების გატანის მართვის გაუმჯობესებისათვის. ხელი მოეწერა კონტრაქტს ბულდოზერისა და დასახვეტ-მოსარწყავი მანქანების შექენაზე, რომლებიც შარშან მიენოდა ქალაქს.

ათვისებულია და გადახდილია 530.544 აშშ დოლარი.

დარჩენილია საინჟინრო სამუშაოები მდინარე ჭოროხზე - 300.000 აშშ დოლარი.

გამოყოფილი თანხა 560.230 აშშ დოლარი.
ბალანსი - 270.314 აშშ დოლარი.

სულ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიხედვით: ათვისებულია და გადახდილია 2.095.167 აშშ დოლარი.

გამოყოფილი თანხა 2.446.910 აშშ დოლარი.

დარჩენილია საინჟინრო სამუშაოები მდინარე ჭოროხზე - 300.000 აშშ დოლარი.

ბალანსი - 51.743 აშშ დოლარი.

ფოთის მუნიციპალიტეტი.

1. ფოთის ნარჩენი წყლების სამმართველოს მიენოდა აზბესტოცემენტის მიღები და სხვადასხვა ტუმბოები, საკანალიზაციო სისტემისა და ოთხი სატუმბო სადგურის რეაბილიტაციისათვის. სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა. სააგენტომ საერთაშორისო კონკურენციული ვაჭრობით შეიძინა ექსკავატორი, ტექნიკური მომსახურების მანქანა, თვითმცლელი, გაზ-53 და ნარჩენი

**ბათუმის მუნიციპალიტეტის კომ-
მუნალური დარჩენილია საინჟინრო
სამუშაოები მდინარე ჭოროხზე.**

წყლების სისტემის გამწმენდი ავტომანქანა.

მთლიანად ათვისებულია 907.858 აშშ დოლარი.

მთლიანად გადახდილია 829.388 აშშ დოლარი.

გამოყოფილი თანხა 841.740 აშშ დოლარი.

ბალანსი - (-) 66.118 აშშ დოლარი.

2. ფოთის მყარი ნარჩენების სისტემას მიენოდა 6 ცალი ნაგავმზიდი მანქანა, რომლებმაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ფოთის ქუჩების სანიტარული მდგომარეობა. აგრეთვე, შესყიდულია სარწყავი მანქანა და ბულდოზერი.

ათვისებულია და გადახდილია 208.000 აშშ დოლარი.

გამოყოფილი თანხა 250.340 აშშ დოლარი.

ბალანსი - 42.340 აშშ დოლარი.

სულ ფოთის მუნიციპალიტეტის მიხედვით:

ათვისებულია 1.115.858 აშშ დოლარი.

გადახდილია 1.037.388 აშშ დოლარი.

გამოყოფილი თანხა 1.092.080 აშშ დოლარი.

ბალანსი - (-) 23.778 აშშ დოლარი.

სხვა მუნიციპალიტეტები.

თელავი.

თელავში სამ სკოლასა და ერთ საავადმყოფოში ჩატარდა თბოიზოლაცია.

ათვისებულია და გადახდილია 199.911 აშშ დოლარი.

პროგრამა დამთავრებულია.

ზუგდიდი.

ჩატარდა თბოიზოლაცია 2 საავადმყოფოში; სამუშაოები კანალიზაციის ფეკალური მასის შემკრები და გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაციისათვის.

ათვისებულია და გადახდილია 258.330 აშშ დოლარი.

პროგრამა დასრულებულია.

სენაკი.

თბოიზოლაცია ჩატარდა 10 სკოლაში.

ათვისებულია და გადახდილია 200.650 აშშ დოლარი.

პროგრამა დასრულებულია.

ჭიათურა.

თბოიზოლაცია ჩატარდა ერთ საავადმყოფოში.

ათვისებულია და გადახდილია 99.476 აშშ დოლარი.

პროგრამა დასრულებულია.

ქუთაისი.

ქუთაისის მუნიციპალიტეტს მიენოდა ალუმინის კაბელები, სხვადასხვა ელექტროძრავიანი ტუმბოები, აზბესტოცემენტის და ლითონის მიღები წყალმომარაგებისა და ნარჩენი წყლების სისტემის აღდგენისათვის. აგრეთვე, მუნიციპალური მომსახურების განვითარების დამოუკიდებელი სააგენტომ ქუთაისისათვის შეიძინა სხვადასხვა სამშენებლო მასალები, ტრანსფორმატორები, სადურგლო მასალები და სხვადასხვა სათადარიგო ნაწილი. დამკვეთის თხოვნით მსოფლიო ბანკი დასთანხმდა დაეფინანსებინა მძლავრი დიზელის გენერატორის შექენა ქუთაისის ბავშვთა

საავადმყოფოსათვის. გენერატორი შესყიდული და გადაცემულ იქნა საავადმყოფოსათვის.

ათვისებულია და გადახდილია 529.694 აშშ დოლარი.

პროგრამა დასრულებულია.

სულ სხვა მუნიციპალიტეტების მიხედვით: ათვისებულია და გადახდილია 1.296.429 აშშ დოლარი.

გათვალისწინებული იყო პროექტით 1.225.990 აშშ დოლარი.

ბალანსი - (-) 70.439 აშშ დოლარი.

თბილისი II

სასწრაფო დახმარების მანქანები: პროექტის განხორციელებისას განეული ეკონომიის ხარჯზე მსოფლიო ბანკი დასთანხმდა გამოეყო 300.000 აშშ დოლარი კრედიტის თანხიდან თბილისის მუნიციპალიტეტისათვის სასწრაფო დახმარების მანქანების შესაძენად. შეძენილი იქნა 15 სასწრაფო დახმარების მანქანა.

ათვისებულია და გადახდილია 293.506 აშშ დოლარი.

გამოყოფილი თანხა 300.000 აშშ დოლარი.

ბალანსი - 6.494 აშშ დოლარი.

განათლების სამინისტროს სასწავლო-მეთოდური ცენტრი.

მსოფლიო ბანკი დაეთანხმა მთავრობის წინადადებას პროექტის სარეზერვო თანხებით დაფინანსებულიყო განათლების სამინისტროს სასწავლო მეთოდური ცენტრის შენობის შესწავლა და შესდგა ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, აღმოჩნდა რომ სარეაბილიტაციო სამუშაოები ეღირება დაახლოებით 2 მლნ. აშშ დოლარი.

რადგანაც პროექტით გათვალისწინებული თანხა არ არის საკმარისი, დარჩენილ თანხას (დაახლოებით 1.000.000 აშშ დოლარს) გაუღებს საქართველოს მთავრობა.

გამოყოფილი თანხა 1.000.000 აშშ დოლარი.

ათვისებულია: „საქარქონდი“ საპროექტო სამუშაოები (ამჟამად დასრულებულია) - 91.275 აშშ დოლარი.

დარჩენილია 908.725 აშშ დოლარი.

ბალანსი - 0

მთლიანად ინვესტირება

გათვალისწინებული იყო პროექტით - 17.476.860 აშშ დოლარი.

ათვისებულია —

16.042.159 აშშ დოლარი.

გადახდილია —

15.963.689 აშშ დოლარი.

დარჩენილია:

მეტროს ტელემართვის — 763.146 აშშ დოლარი.

თბილისი II კომპონენტში დარჩენილია განათლების სამინისტროს სასწავლო-მეთოდური ცენტრის აღდგენითი სამუშაოები.

საინჟინრო სამუშაოები მდ. ჭოროხზე — 300.000 აშშ დოლარი.

განათლების სამინისტროს სასწავლო-მეთოდური ცენტრის შენობის აღდგენა-რეკონსტრუქცია — 908.725 აშშ დოლარი.

ბალანსი - (-) 537.170 აშშ დოლარი.

ინსტიტუციონალური განვითარება

ა) სააგენტოს ხარჯები

მონყობილობა - 33501 აშშ დოლარი.

საოპერაციო ხარჯები - 282.175 აშშ დოლარი.

მთლიანად სააგენტოს ხარჯები:

გათვალისწინებული იყო პროექტით 306.530 აშშ დოლარი.

ათვისებულია და გადახდილია 315.676 აშშ დოლარი.

დარჩენილია

19.179 აშშ დოლარი.

ბალანსი (-) 28.325 აშშ დოლარი.

ბ) დამხმარე საქმიანობა.

ა) ტექნიკური დახმარება

1. პროკურმენტ კონსულტანტები 621.731 აშშ დოლარი.

2. აუდიტი

110.662 აშშ დოლარი.

3. ტექნიკური ზედამხედველობა

190.615 აშშ დოლარი.

გათვალისწინებული იყო პროექტით 754.770 აშშ დოლარი.

ათვისებულია და გადახდილია 923.008 აშშ დოლარი.

ბალანსია — (-) 168.238 აშშ დოლარი.

ბ) საზოგადოებრივი ურთიერთობების კომპანია.

ათვისებულია და გადახდილია 89.865 აშშ დოლარი.

გათვალისწინებული იყო პროექტით 102.630 აშშ დოლარი.

ბალანსია — (-) 12.765 აშშ დოლარი.

გ) საკონსულტაციო მომსახურება

ტოპოგრაფიული რუქის შედგენა 20.000 აშშ დოლარი.

ERM (ეკოლოგია)

50.000 აშშ დოლარი.
 პროექტი საავადმყოფოს ბოილერებზე
 20.560 აშშ დოლარი.
 ექსპერტიზა
 3.569 აშშ დოლარი.
 პროექტის მომზადება ბათუმის
 ნაგავსაყრელის
 დამცავი კედლის მშენებლობისათვის
 31.400 აშშ დოლარი.
 კოლხეთის ეროვნული პარკის რუქების
 მომზადება (ეკოლოგია)
 12.000 აშშ დოლარი.

ათვისებულია და გადახდილია
 174.729 აშშ დოლარი.
 გათვალისწინებული იყო პროექტით
 437.430 აშშ დოლარი.

ბალანსია — 262.701 აშშ დოლარი.

დ) შესწავლები

მუნიციპალური სექტორის შესწავლა
 68.513 აშშ დოლარი.
 ზემპერი (მეტროს პროექტი)
 4.000 აშშ დოლარი.
 MIRP პროექტის მომზადების ხარჯები
 (პროექტის დასაწყებად)
 81.000 აშშ დოლარი.

ათვისებულია და გადახდილია
 153.513 აშშ დოლარი.
 გათვალისწინებული იყო პროექტით
 611.780 აშშ დოლარი.

ბალანსია — 458.267 აშშ დოლარი.

მთლიანად ინსტიტუციონალური განვითარება:

ათვისებულია და გადახდილია
 1.656.71 აშშ დოლარი.
 გათვალისწინებული იყო პროექტით
 2.213.140 აშშ დოლარი.
 დარჩენილია სააგენტოს ხარჯები
 19.179 აშშ დოლარი.

ბალანსია — 537.170 აშშ დოლარი.

მთლიანად პროექტის მიხედვით

გათვალისწინებული იყო პროექტით
 19.690.000 აშშ დოლარი.
 ათვისებულია
 17.698.950 აშშ დოლარი.
 გადახდილია
 17.620.480 აშშ დოლარი.
 დარჩენილია:
 მეტროს ტელე-მართვის სისტემა
 763.146 აშშ დოლარი.
 საინჟინრო სამუშაოები მდინარე ჭოროხზე
 300.000 აშშ დოლარი.

სასწავლო-მეთოდური ცენტრის შენობის
 აღდგენა-რეკონსტრუქცია —
 908.725 აშშ დოლარი.
 სააგენტოს ხარჯები
 19.179 აშშ დოლარი.

მთლიანად პროექტის ბალანსი — 0

გარდა აღნიშნულისა, სააგენტოს ხელშეწყობით უცხოურმა ფირმებმა ჩაატარეს სხვადასხვა სემინარები და შესწავლები, რომლებიც ძირითადად დაფინანსებული იყო დამატებით მსოფლიო ბანკის მიერ თავიანთი ხარჯებით (არა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის ხარჯებით). კერძოდ:

- ჰოლანდიურმა კომპანია „DHV“-მ შეადგინა ქ. თბილისის წყალმომარაგების სისტემის აღდგენის პროექტი.

- ჰოლანდიურმა კომპანია „IWACO“-მ შეადგინა ქ. ბათუმის წყალმომარაგების ქსელების მოდელირების პროექტი.

- ირლანდიურმა კომპანია „DEVCO“-მ შეადგინა ქალაქების ბათუმისა და ფოთის კანალიზაციის სისტემების რუქები, რის შედეგადაც კომპიუტერის მეშვეობით შესაძლებელია კანალიზაციის სისტემების მდგომარეობის შესწავლა, აღწერა და მართვა.

- ჰოლანდიურმა კომპანიამ „HEIDEMIG“-მა ქ. თბილისში ჩაატარა ერთკვირიანი სემინარი და შეადგინა პროექტი ქ. თბილისის დასუფთავების სისტემების და ნაგავსაყრელების მართვის გაუმჯობესების შესახებ.

- ავსტრიულმა კომპანიამ „AUSTROCONSULT“-მა შეისწავლა ქ. თბილისის მეტროპოლიტენში ენერგომომარაგების სისტემების მდგომარეობა.

ასევე მუნიციპალური მომსახურების განვითარების დამოუკიდებელი სააგენტოს მიერ განხორციელებულია პროექტით გათვალისწინებული სხვადასხვა სამუშაოები.

როგორც ქვემოთ ვთქვით მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტში დარჩენილია სამი ასათვისებელი კომპონენტი. მათ ახლა განვიხილავთ უფრო დეტალურად.

1. მეტროს ტელე-მართვის სისტემა.

თბილისის მეტროპოლიტენის ენერგომომარაგების ტელემართვის სისტემის შესასყიდად მსოფლიო ბანკმა, მეტროპოლიტენთან შეთანხმებით გამოყო 763.000 აშშ დოლარი, რომელიც ჩაატარა ავსტრიულმა საკონსულტაციო ფირმამ „ავსტროკონსალტმა“, აჩვენა, რომ სისტემის ფასი იქნება დაახლოებით 2.600.000 აშშ დოლარი.

ბიუჯეტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად გადანყდა, რომ სამუშაო გაიყოფოდა უცხოურსა და ქართულ ფირმას შორის, ისე, რომ მთლიანი ფასი არ გადააჭარბებდა ბიუჯეტს. საკონკურსო

დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც უცხოური ფირმა თავის თავზე იღებდა მოწყობილობის მოწოდებასა და პროექტის ზედამხედველობას, შემუშავდა ამ გადანაცვების შესაბამისად. ადგილობრივ ფირმას უნდა განეხორციელებინა პროექტირება და მონტაჟი.

კონკურსში მონაწილეობა მიიღო ორმა ფირმამ - „ხარკოვის მეტროსერვისმა“ და გერმანულმა ფირმა „ადტრანსმა“. რადაგანაც „მეტროსერვისმა“ არ წარმოადგინა ტექნიკური დოკუმენტაცია სატენდერო დოკუმენტების შესაბამისად, მათი წინადადება უარყოფილ იქნა და შემდგომი მოლაპარაკება გაიმართა ფირმა „ადტრანსთან“. სამწუხაროდ, „ადტრანსმა“ თავის წინადადებაში არ მიიღო მხედველობაში სამუშაოს დაყოფის პრინციპი და მათმა წინადადებამ შეადგინა 2.6 მლნ. აშშ დოლარი.

ბიუჯეტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად სააგენტომ გამართა მოლაპარაკება „ადტრანსთან“ ფასის დაკლებაზე. პარალელურად, ხორციელდება მსოფლიო ბაზრის შესწავლა აღნიშნულ საკითხზე. ინტერნეტის მეშვეობით მუნიციპალური მომსახურების განვითარების დამოუკიდებელი სააგენტო დაუკავშირდა სისტემის პოტენციურ მომწოდებელ რამოდენიმე კომპანიას (ისეთი ცნობილი კომპანიების ჩათვლით, როგორცაა „ჯენერალ ელექტრიკ ფანუკ აუტომეიშენ“, „ჰანიველი“, „როკველ აუტომეიშენ“, „წნაიდერ ელექტრიკ მოდიკონი“, „ალენ ბრედელი“, „ნეშლ ინსტრუმენტი“). ამ კონტაქტების საფუძველზე დადგინდა, რომ საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრული საქონლისა და მომსახურების ფასი არ უნდა აჭარბებდეს 500.000-550.000 აშშ დოლარს.

„ადტრანსთან“ მოლაპარაკების შედეგად მიღწეულ იქნა შემდეგი შედეგები: მეტროპოლიტენის განცხადებაზე დაყრდნობით წინადადებებიდან ამოღებულ იქნა კაბელები და გარდამქმნელები (ამ შემთხვევაში სისტემაში გამოყენებული იქნებოდა მეტროში არსებული ძველი კაბელი, რომელიც მუშა მდგომარეობაშია) და მოზაიკური ფარი (ხარჯების შესამცირებლად მოზაიკური ფარის პროექტის მომზადებასა და მოზაიკური ფარის შესყიდვას განახორციელებს ადგილობრივი საინჟინრო ფირმა). „ადტრანსის“ ახალმა წინადადებამ შეადგინა 658.000 აშშ დოლარი.

ეს წინადადება კვლავ მიუღებელი რჩება მთელი მიზეზების გამო. დარჩენილი თანხა არ იქნება საკმარისი მონტაჟის ჩასატარებლად, ამას გარდა, ძველი კაბელების დატოვების გამო სისტემა ტექნიკურად არასრულყოფილი იქნება, მიუხედავად მასზე განეული მნიშვნელოვანი ხარჯებისა.

ამასთან ერთად აღმოჩნდა, რომ „ადტრანსი“ აპირებდა კონტრაქტით გათვალისწინებული საქონლისა და მომსახურების მოწოდების მთლიანად გადაცემას ერთობლივი საწარმო „აბბ მოსკოვი-რელე ჩებოკსარი“-სათვის, რაც მსოფლიო ბანკისათვის აბსოლიტურად

მიუღებელია. შემდგომ ამ მიზეზზე დაყრდნობით „ადტრანსმა“ მოითხოვა კონტრაქტის გაფორმება ფირმასთან „აბბ მოსკოვი-რელე ჩებოკსარი“.

ამგვარად, ერთადერთ გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან წარმოადგენს ახალი ტენდერის გამართვა იმ ფორმებს შორის, რომლებთანაც ჰქონდა მოლაპარაკება სააგენტოს მსოფლიო ბაზრის შესწავლის პროცესში. ამ შემთხვევაში სამუშაოები შესრულება არსებული ბიუჯეტის ფარგლებში და თავიდან ავიცილებთ სისტემაში ძველი კაბელების გამოყენებას.

მუნიციპალური მომსახურების განვითარების დამოუკიდებელი სააგენტოს წინადადებები ამჟამად განხილვის სტადიაშია მსოფლიო ბანკში და მსოფლიო ბანკის თანხმობის შემთხვევაში, სააგენტო ჩაატარებს ასევე საერთაშორისო კონკურსს მოკლე სიის მიხედვით რაც, მიუხედავად დროის დაკარგვისა, საშუალებას მოგვცემს გავნიოთ მნიშვნელოვანი ფინანსური ეკონომია აღნიშნული კომპონენტის განხორციელებისას.

2. ბათუმის ნაგავსაყრელის დამცავი კედლის მშენებლობა.

პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია ქ. ბათუმის ნაგავსაყრელთან მომიჯნავე მდ. ჭოროხზე დამცავი კედლის მშენებლობის სამუშაოების ჩატარება. აღნიშნული საკითხი პირველ რიგში მნიშვნელოვანია ეკოლოგიური თვალსაზრისით. კედელმა წყალდიდობების დროს უნდა დაიცვას შავი ზღვა მდ. ჭოროხის მეშვეობით ნაგავსაყრელის მასების ჩადინებისაგან.

10 მარტს შედგა სატენდერო წინადადებების საჯარო გახსნის პროცედურა, რომელსაც ესწრებოდნენ ყველა მონაწილის წარმომადგენლები. გამოვლინდა რომ უმცირესი ფასი, რომელიც წარმოადგინა „აჭარავტოგზამ“ შეადგენს 722.573 აშშ დოლარს, საერთოდ კი წარმოდგენილი წინადადებების ფასები ამგვარად განაწილდა:

- ფირმა „აჭარავტოგზა“
722.573 აშშ დოლარი.
- სს „საქგვირაბმშენი“
737.145 აშშ დოლარი.
- სს „მშენებელი-96“
918.107 აშშ დოლარი.
- სს „სპეცვიდრომშენი“
970.207 აშშ დოლარი.

ერთი შეხედვით ფირმა „აჭარავტოგზა“-მ მოიგო ტენდერი, მაგრამ სააგენტომ ვერ მიანიჭა მას კონტრაქტი ღირებულებით 722.573 აშშ დოლარი, რადგანაც პროექტის ბიუჯეტი ამ სამუშაოსთვის ითვალისწინებს სულ 350.000 აშშ დოლარს (შესაბამისად შემცირდება ასაშენებელი კედლის სიგრძე). სააგენტო ყურადღებით განიხილა ეს წინადადება და

ჩაატარა შესაბამისი გაანგარიშება და აღმოჩნდა რომ 350.000 აშშ დოლარი საკმარისია მხოლოდ 140-150 მ. სიგრძის კედლის მშენებლობისათვის. ამის შემდგომ სააგენტომ მიმართა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, რათა მათ წარმოგვიდგინონ კვალიფიციური დასკვნა იმის შესახებ მოგვცემს თუ არა 140 მ. სიგრძის კედელი მინიმალურად სასურველ ეფექტს მაინც. სამინისტროს ექსპერტები მუშაობენ ამჟამად ამ საკითხზე.

3. განათლების სამინისტროს სასწავლო-მეთოდური ცენტრის აღდგენა-რეკონსტრუქცია.

მსოფლიო ბანკი დაეთანხმა საქართველოს მთავრობის წინადადებას.

პროექტის სარეზერვო თანხებით დაფინანსებულ იყო განათლების სამინისტროს სასწავლო-მეთოდური ცენტრის აღდგენა-რეკონსტრუქცია. როდესაც ჩატარდა ხსენებული შენობის შესწავლა და შესდგა ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, აღმოჩნდა რომ სარეაბილიტაციო სამუშაოები ეღირება დაახლოებით 2 მლნ. აშშ დოლარი. რადგანაც პროექტის გათვალისწინებული თანხა არ არის საკმარისი დარჩენილ თანხას (დაახლოებით 1 მლნ. აშშ დოლარს გაიღებს მთავრობა). რაზეც არსებობს განათლების და ფინანსთა სამინისტროს პრინციპული დასტური.

საპრექვალიფიკაციო განაცხადების წარმოდგენის ბოლო ვადა იყო 17 მარტი. 24 თებერვალს ევროპულ, რუსულ და ქართულ პრესაში გამოქვეყნებულ განაცხადებს პრექვალიფიკაციის შესახებ გამოეხმაურა და საპრექვალიფიკაციო დოკუმენტები შეიძინა 13-მა ფირმამ. მათ შორის იყო 5 - ქართული, 2 - თურქული, 1 - გერმანული, 1 - ჩინური, 1 - რუსული, 1 - ბერძნული 1 - ჩეხური და 1 - სლოვენური. მიღებული იქნა 6 განაცხადი. პრექვალიფიკაცია გაიარა სამმა ფირმამ:

1. სს „საქგვირაბმშენი“, საქართველო
2. ერთობლივი საწარმო: „ელინიკი ტეხნოლომიკი ა.ე.“ და „ათენა ს.ა.“, საბერძნეთი
3. „სკტ ინტერნეშენლ დ.დ.“, სლოვენია

ამ ფირმებს უახლოეს მომავალში დაეგზავნებათ საკონკურსო დოკუმენტაცია და ისინი მონაწილეობას მიიღებან ტენდერში.

მსოფლიო ბანკის ეს მუნიციპალური პროექტები ხელს უწყობენ დეცენტრალიზაციის ხაზის ეტაპზე საქალაქო მომსახურებაზე პასუხისმგებლობისა და მოვალეობის მუნიციპალიტეტებისათვის გადაცემას. დეცენტრალიზაციის პროცესმა თავის მხრივ ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

ადგილობრივი მმართველობის სფეროში

მუნიციპალური პროექტები უზრუნველყოფენ ადგილობრივი ორგანოების ორგანიზაციული, მართვისა და ფინანსურ-ეკონომიკური ბაზის გაუმჯობესების დახმარების გზით მუნიციპალური მომსახურების განვითარებასა და უზრუნველყოფაზე უფლებამოსილების თანდათანობით ქვედა რგოლებისათვის გადაცემას; ადგილობრივ საზოგადოებრივ მომსახურებათა და ადმინისტრაციულ ფუნქციათა განხორციელების ეფექტიანობის ზრდას ადგილობრივი და საერთო-სახელმწიფო ინტერესების ერთიანობის უზრუნველყოფის, მოქალაქეთა თვითმმართველობის უფლების გარანტირებისა და საზოგადოების თვითორგანიზების საფუძველზე.

მუნიციპალური პროექტები ითვალისწინებენ საქართველოს რეგიონების მიხედვით შესაბამის კონკრეტულ ღონისძიებათა დაგეგმვასა და გატარებას. მათ შორის: ადგილობრივი ეკონომიკური ინფრასტრუქტურის (მუნიციპალური მომსახურების საკომუნიკაციო, საინფორმაციო და სხვა ობიექტები) განვითარების პროგრამებს; ადგილობრივი სოციალური ინფრასტრუქტურის (განათლების, სამედიცინო დაწესებულებათა) რეაბილიტაციისა და შემდგომი განვითარების სახელმწიფოებრივ ღონისძიებებს.

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტმა შესაძლებლობა მოგვცა მისი განხორციელების პროცესში შეგვესწავლა ვითარება ხელისუფლების დაბალ დონეზე. მუნიციპალურ დონეზე მიმდინარეობს აქტიური საინვესტიციო საქმიანობა, რომელიც ხელს უწყობს სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების რეაბილიტაციასა და მშენებლობას; კერძოდ, საინვესტიციო თანხები გამოყენებულ იქნა მუნიციპალურ საკუთრებაში მყოფი განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური მომსახურების, გარემოს დაცვისა და სხვა დანიშნულების ობიექტების რეაბილიტაციისა და მშენებლობის დასაფინანსებლად.

პროექტის განხორციელებისას საჯაროობისა და მოსახლეობის ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მოეწყო მოსახლეობის სოციოლოგიური გამოკითხვები, რამაც უზრუნველყო სწორი საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელება. ეს გამოკითხვები ორ მიზანს ისახავდა: გვიჩვენა თუ სად იყო სუსტი ადგილები ადგილობრივი მოსახლეობის აზრით და რამდენად ემთხვევა მოსახლეობის აზრი ადგილობრივი მმართველობის მოსაზრებებს.

ზოგიერთ მუნიციპალიტეტებში ჩატარდა და ისევ მიმდინარეობს მუნიციპალური აუდიტის პროცესი. მისი ძირითადი მიზანია გამოავლინოს და შეაფასოს მუნიციპალიტეტების ფინანსური, ტექნიკური, მმართველობითი და სხვა მიმართულებებით არსებული მდგომარეობა, ანუ წარმოადგინოს რეალური სურათი

მუნიციპალიტეტებში არსებული ვითარების შესახებ.

საინტერესოა აღინიშნოს ის ფაქტი რომ, როდესაც საუბარი იყო სკოლების შეკეთებაზე ორი მოსაზრება წარმოიშვა: ერთი რომ, გაკეთებულიყო რამდენიმე სკოლა საფუძვლიანად და მეორე, შეეკეთებინათ თითქმის ყველა სკოლა თითოეულზე მცირე დანახარჯებით (პირველადი თბოიზოლაცია). უპირატესობა ქართველმა ექსპერტებმა მიანიჭეს მეორე მოსაზრებას გაკეთებულიყო ბევრი და ნაწილობრივ. ეს იმით იქნა ახსნილი, რომ იმ პერიოდში სკოლებში მეცადინეობები არ მიმდინარეობდა სიცივის გამო. ამიტომაც მოხდა უმეტესი სკოლების პირველადი თბოიზოლაცია (ფანჯრების, მინების ჩასმა და სხვა).

ის ფაქტი, რომ სკოლებში პირველადი თბოიზოლაცია ჩატარდა და საშუალება მისცა სკოლებს ფუნქციონირებისა ნამდვილად დადებითი ფაქტია. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ თანხების ასეთმა განაწილებამ გამოიწვია სახსრების ძლიერი დანაწევრება და

მოსახლეობისათვის შეუმჩნეველი რჩება მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის შედეგები.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი ქ. თელავში შეკეთდა სამი სკოლა და ერთი სავაადმყოფო. აქ შესრულებული სამუშაოების შედეგის შესახებ საზოგადოებრივი აზრი უფრო დადებითია. ასევე წყალმომარაგების თუ სხვა სისტემებში შესრულებული სამუშაოებს ცალკეული ორგანიზაციები დამაკმაყოფილებლად აფასებენ.

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის განხორციელებით უკვე შეიქმნა „მუნიციპალური მომსახურების განვითარების დამოუკიდებელი სააგენტოს“ სახით ამ საკითხებზე მომუშავე სპეციალისტთა ჯგუფი.

ყველაზე უმთავრესი დამნიშვნელოვანი კის ფაქტია რომ მსოფლიო ბანკის ექსპერტები დადებითად აფასებენ შესრულებულ სამუშაოებს და ხელს უწყობენ საქართველოში დამატებით ახალი კრედიტების მოზიდვას.

ცხრილი №1: მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი პროექტები

პროექტი	კრედიტის თანხა (მლნ. აშშ დოლარი)	საბჭოს სხდომის თარიღი	ჩარიცხული თანხა (მლნ. აშშ დოლარი)				სულ
			1995 წ.	1996 წ.	1997 წ.	1998 წ.	
სოფლის მეურნეობის განვითარება	15.0	03/25/97				3.0	3.0
კულტურის მემკვიდრეობა	4.49	02/13/98					
ჯანდაცვა	14.0	04/25/96			1.0	1.3	2.3
ინსტიტუციონალ. მშენებლობა	10.1	07/05/94	2.6	4.8	2.7	0.6	10.7
მუნიციპ. განვ. და დეცენტრალიზაცია	20.9	07/15/97				1.3	1.3
მუნიციპ. ინფრ-სტრუქტ. რეაბილ.	18.0	11/08/94	0.6	8.1	6.5	0.9	16.1
ნავთობის ინსტიტ. მშენებლობა	1.4	04/08/97				0.3	0.3
ენერჯო სექტორის რეაბილიტაცია	52.3	06/03/97				17.0	17.0
სტრუქტურული გარდაქმნის კრედიტი (სგკ)	60.0		დახურულია				59.6
სგტდკ	4.8	04/18/96			1.1	1.5	2.6
სგკ II	60.0	09/04/97				40.7	40.7
სგტდკ II	4.8	09/04/97				1.0	1.0
რეაბილიტაცია	75.0		დახურულია				75.0
სოციალური ინვესტ. ფონდი	20.0	12/11/97					
ტრანსპორტი	12.0	01/18/96			4.9	2.9	7.8
სულ	372.79		3.2	12.9	16.2	70.5	237.4

ცხრილი №2: ქვეყნის დახმარების სტრატეგიის საკრედიტო პროგრამა 1998-2000 ფისკალური წლებისათვის

წლები	კრედიტის დასახელება	კრედიტის თანხა (მლნ. აშშ დოლარი)
1998	სგკ II და სგტდკ II	65.0
	სოციალური ინვესტიციის ფონდი	20.0
	წყალმომარაგების მართვა	25.0
	შავი ზღვის ინტეგრირებული გარემო	3.0
	სულ:	113.0
1999	სგკ III და სგტდკ III	45.0
	ტრანსპორტი	27.0
	განათლება	15.0
	კერძო სექტორის განვითარება	10.0
	სასამართლო რეფორმა	10.0
სულ:	107.0	
2000	სგკ IV	30.0
	ჯანდაცვა II	15.0
	სოფლის მეურნეობა II	20.0
	გამწვანება	15.0
	ელექტროენერჯის განაწილება და გადაცემა	20.0
	სულ:	100.0
სულ 1998-2000 წლებისათვის	320.0	

წყარო: მსოფლიო ბანკის საქართველოს წარმომადგენლობა

ცხრილი №3 მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის კრედიტის თანხებზე მიღება წლების მიხედვით

	წლები					სულ
	1997	1998	1999	2000	2001	
IDA	0.5	4.7	7.5	5.5	2.7	20.9
საერთო	0.5	5.2	12.7	18.2	20.9	20.9

ცხრილი №4 მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის პროექტის ხარჯები: ჯამი კომპონენტების მიხედვით

კომპონენტი	IDA	სახელმწიფო	სულ
ეროვნული ინსტიტუციონალური განვითარება	3.3	1.0	4.3
მუნიციპალური ინსტიტუციონალური განვითარება	1.3	0.1	1.4
სულ ინსტიტუციონალური განვითარება	4.6	1.1	5.7
ფიზიკური ინვესტირება	16.3	4.1	20.4
სულ	20.9	5.2	26.1

ცხრილი №5 შერჩეული მუნიციპალიტეტების სია

რეგიონები	ძირითადი შერჩევა	მოსახლეობა (ათასებში)	სარეზერვო შერჩევა	მოსახლეობა (ათასებში)
თბილისი	თბილისი	1254.1		
ფოთი	ფოთი	50.2		
კახეთი	თელავი	78.7	დედოფლისწყარო	36.1
მცხეთა-თიანეთი	ყაზბეგი	6.2	1. დუშეთი 2. მცხეთა	37.9 65.5
შიდა ქართლი	გორი	174.6	ხაშური	69.6
იმერეთი	ქუთაისი	240.6	ტყიბული	36.4
სამცხე-ჯავახეთი	ახლციხე	54.3	ახალქალაქი	70.8
რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	ამბროლაური	17.0	ცაგერი	16.1
გურია	ოზურგეთი	91.8	ჩოხატაური	26.7
სამ-გრელო ზედა სვანეთი	ზუგდიდი	128.7	მესტია	14.1
ქვემო ქართლი	რუს ავი	155.5	გარდაბანი	120.2
აჭარის ავტ. რესპუბლიკა	ბათუმი	137.1	ქობულეთი	59.3

წყარო: მუნიციპალურ პროგრამათა განხორციელების საკოორდინაციო ცენტრი

ცხრილი №6 მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის დამფინანსებლები.


დამფინანსებელი	თანხა (მლნ. აშშ დოლარი)
მსოფლიო ბანკი	18.0
USAID	0.3
საქართველოს მთავრობა	1.4
სულ პროექტი	19.7

ცხრილი №7 მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის პროექტზე გამოყოფილი თანხების მიზნობრიობა.


№	კომპონენტები	ათვისებულია	გადახდილია	გამოყოფილი თანხა	დარჩენილი სამუშაო	ბალანსი
1	თბილისის მუნიციპალიტეტი სულ	11.149.924	11.149.924	11.411.880	763.146	(-) 501.190
	გათობა/ენერჯის დაზოგვა	5.118.045	5.118.045	4.634.700		(-) 483.345
	მეტრო	2.250.814	2.250.814	3.013.960	763.146	0
	მინისზედა ტრანსპორტი	1.249.075	1.249.075	1.214.050		(-) 35.025
	წყალმომარაგება	1.488.171	1.488.171	1.488.850		679
	ნარჩენი წყლები	687.845	687.845	698.860		11.015
	მყარი ნარჩენები	355.974	355.974	361.460		5.486
2	ბაოუმის მუნიციპალიტეტი სულ	2.095.167	2.095.167	2.446.910	300.000	51.743
	წყალმომარაგება	502.911	502.911	821.970		319.059
	ნარჩენი წყლები (კანალიზაცია)	1.061.712	1.061.712	1.064.710		2.998
	მყარი ნარჩენები	530.544	530.544	560.230	300.000	270.314
3	ფოთის მუნიციპალიტეტი	1.115.858	1.037.388	1.092.080		(-) 23.778
	ნარჩენი წყლები	907.858	829.388	841.740		(-) 66.118
	მყარი ნარჩენები	208.000	208.000	250.340		42.340
4	თელავი	199.911	199.911			
5	ზუგდიდი	258.330	258.330			
6	სენაკი	200.650	200.650			
7	ჭიათურა	99.476	99.476			
8	ქუთაისი	529.694	529.694			
	სხვა მუნიციპალიტეტებზე სულ	1.296.429	1.296.429	1.225.990		(-) 70.439
9	თბილისი II					
	სა.წრაფო დახმარების მანქანები	293.506	293.506	300.000		6.494
	განათლების სამინისტროს სასწავლო-სეთოდური ცენტრი.	91.275		1.000.000	908.725	0
	მთლიანი ინვესტირება	16.042.159	15.963.689	17.476.860	1971.871	(-) 537.170
10	ინსტიტუციონალური განვითარება სულ	1.656.791	1.656.791	2.213.140	19.179	537.170
	სააგენტოს ხარჯები	315.676	315.676	306.530	19.179	(-) 28.325
	დამხმარე საქმიანობა					
	ა) ტექნიკური დახმარება	923.008	923.008	754.770		(-) 168.238
	საზოგადოებრივი ურთიერთობების კომპანია	89.865	89.865	102.630		(-) 12.765
	გ) საკონსულტაციო მომსახურება	174.729	174.729	437.430		262.701
	დ) შესწავლები	153.513	153.513	611.780		458.267
	სულ პროექტი	17.698.950	17.620.480	19.690.000	1991.050	0

წყარო: მუნიციპალური მომსახურების განვითარების დამოუკიდებელი სააგენტო

გრაფიკი №1




გრაფიკი №2



გრაფიკი №3


მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის დამფინანსებლები



■ მსოფლიო ბანკი ■ USAID □ საქართველოს მთავრობა

გრაფიკი №4

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტში გამოყოფილი თანხა



მოგების გადასახადი საქართველოში

■ დავით ამალობელი

ქვეყნის საგადასახადო სისტემაში პირდაპირი სახის გადასახადებს შორის ერთ-ერთ ძირითად რგოლს მოგების გადასახადი წარმოადგენს. საქართველოშიც სხვა არსებული გადასახადების ფონზე მოგების გადასახადს ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია. წინამდებარე თემის მიზანია წარმოჩინდეს მოგების გადასახადთან დაკავშირებით საქართველოში არსებული მდგომარეობა და დაისახოს ცალკეული კონკრეტული ღონისძიებები სიტუაციის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

ფონზე მოგების გადასახადის წილი განსაკუთრებულად დაბალია (იხ. ნახ. №2).

რაც შეეხება მოგების გადასახადის წილს ერთობლივ საგადასახადო შემოსავლებში, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ტენდენცია კლებისკენაა მიმართული. ასე მაგალითად, თუკი 1994 წელს მოგების გადასახადით მიღებული შემოსავლების წილი მთლიან საგადასახადო შემოსავლებში 28.2% იყო, 1997 წელს ამ ციფრმა მხოლოდ 8% შეადგინა. ამ გარემოების ახსნა ძირითადად იმით შეიძლება, რომ სხვა გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების ზრდის ტემპები გაცილებით უსწრებდა წინ მოგების გადასახადით დაბეგვრიდან მიღებული შემოსავლების ზრდას, რამაც მოგების გადასახადის მეორეხარისხოვან გადასახადად გადაქცევას შეუწყო ხელი და 1997 წელს მთლიან საგადასახადო შემოსავლებს შორის მოგების გადასახადი მე-5 ადგილზე იმყოფებოდა. მაშინ როდესაც მსოფლიოს მთელ რიგ განვითარებულ ქვეყნებში მოგების გადასახადს საერთო საგადასახადო

უკანასკნელი რამოდენიმე წლის განმავლობაში მოგების გადასახადის საზით მიღებული სახელმწიფო შემოსავლები ზრდას განიცდიდა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად მოგების გადასახადის გადამხდელები არიან საქართველოს საწარმოები და უცხოური საწარმოები. უკანასკნელი რამოდენიმე წლის განმავლობაში მოგების გადასახადის საზით მიღებული სახელმწიფო შემოსავლები ზრდას განიცდიდა. ასე მაგალითად, თუკი 1994 წელს მოგების გადასახადით დაბეგვრიდან მიღებულ იქნა 11.6 მილიონი ლარი, 1997 წელს ეს მაჩვენებელი 38.8 მილიონი ლარი იყო (იხ. ნახ. №1)

უკანასკნელი წლების განმავლობაში ბიუჯეტში მოგების გადასახადის გზით მიღებული დაგეგმილი შემოსავლები საგრძნობლად ჩამორჩებოდა ფაქტიურ ციფრებს.

შემოსავლების სტრუქტურაში მე-2 ან მე-3 ადგილი მინც უჭირავს (იხ. ნახ. №3, №4, №5).

უკანასკნელი წლების განმავლობაში ბიუჯეტში მოგების გადასახადის გზით მიღებული დაგეგმილი შემოსავლები საგრძნობლად ჩამორჩებოდა ფაქტიურ ციფრებს. ასე მაგალითად, 1996 წელს გეგმა შესრულებულ იქნა 55.7%-ით, ხოლო 1997 წელს კი — 62.6%-ით. ბიუჯეტის შეუსრულებლობის ტენდენცია რამდენადმე გაგრძელდა 1998 წლის იანვარში, როდესაც გეგმა მხოლოდ 82%-ით შესრულდა. სამაგიეროდ მომდევნო თებერვალ-მარტის თვეებში სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა და თებერვალში გეგმა 129.1%-ით, ხოლო მარტში 192.6%-ით შესრულდა. ასე რომ მთლიანობაში 1998 წლის პირველ კვარტალში მოგების გადასახადის გეგმა 139.6%-ით შესრულდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ როგორც წინა წლების გამოცდილება ადასტურებს წლის პირველი კვარტალი ყოველთვის გეგმის გადამატებით შესრულებით ხასიათდება,

მართალია საქართველოში საგადასახადო შემოსავლების წილი მშპ-ში ძალიან მცირეა (11% — 1997 წელს), მაგრამ ამ ფონზე მოგების გადასახადის წილი განსაკუთრებულად დაბალია.

თუკი ერთობლივ შიდა პროდუქტში მოგების გადასახადის წილის მიხედვით ვიმსჯელებთ, აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია და ბოლო ორი წლის განმავლობაში 2 პუნქტით შემცირდა და 1997 წელს 0.6% შეადგინა. მართალია საგადასახადო შემოსავლების წილი მშპ-ში საქართველოში ძალიან მცირეა (11% — 1997 წელს), მაგრამ ამ

თუკი 1994 წელს მოგების გადასახადით მიღებული შემოსავლების წილი მთლიან საგადასახადო შემოსავლებში 28.2% იყო, 1997 წელს ამ ციფრმა მხოლოდ 8% შეადგინა.

ხოლო მომდევნო პერიოდებში ფაქტიური შემოსავლები დაგეგმილს ჩამორჩება ხოლმე (იხ. ცხრილი №1).

იმ ძირითად პრაქტიკულ საკითხებს შორის, რომლებიც ამა თუ იმ ბიზნესის შემოსავლის დაანგარიშებასთან დაკავშირებით წარმოიქმნება ხოლმე უკავშირდება ამ ბიზნესის კაპიტალურ აქტივებსა და პასივებს. მოკლედ ვისაუბროთ თითოეული მათგანის შესახებ.

ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებიდან გამომდინარე კაპიტალურ აქტივებზე განეული დანახარჯების გადანაწილება ხდება გარკვეულ პერიოდზე იმისდა მიხედვით თუ რა დოზით იქნა გამოყენებული აღნიშნული აქტივი შემოსავლის ფორმირების პროცესში. თუმცა დაზუსტებით იმის თქმა თუ რამდენი კაპიტალური აქტივი დაიხარჯა არ შეიძლება, ამიტომაც საერთო განაკვეთები იქნა დანესებული, რომლის მიხედვითაც ხდება აქტივის თავდაპირველი ღირებულების პერიოდული ჩამონერა.

აქტივის იდეალური ამორტიზაციის ანარიცხების განრიგი უნდა იყოს მაქსიმალურად მიახლოებული ამა თუ იმ აქტივის რეალურ ეკონომიკურ გაუფასურებასთან. ნებისმიერი გადახრა, რომელსაც ადგილი ექნება აქტივის ღირებულების ჩამონერის პროცესში გამოიწვევს ასევე იდეალური საგადასახადო ბაზიდან გადახვევას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დასაბეგრი მოგება იქნება ხელოვნურად შემცირებული ან გადამეტებული, როცა ამორტიზაციის ანარიცხების განაკვეთი განსხვავდება აქტივის რეალური ეკონომიკური გაუფასურებისაგან. იმისათვის, რომ აქტივი მოხვდეს ამორტიზირებადი ძირითადი საშუალებების სიაში საჭიროა, რომ მას გააჩნდეს ერთი ან მეტი წლის მუშა ფუნქციონირების ხანგრძლივობა.

გამომდინარე იმ მოსაზრებიდან, რომ როგორც ადმინისტრაციული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით შეუძლებელია ცვეთის ისეთი სისტემის შემუშავება, რომელიც ზუსტ შესაბამისობაში იქნება თითოეული ჯგუფის აქტივის რეალურ ეკონომიკურ ცვეთასთან, შემუშავებულ იქნა ზოგადი წესები, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ამორტიზაციის ანარიცხების ჩამონერა. აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით მსოფლიოში ყველაზე ფართოდ გავრცელებულია ძირითადად ორი ტიპის ცვეთის წესი. პირველი წესის თანახმად, რომელსაც წრფივი ხაზის მეთოდი ეწოდება ამა თუ იმ აქტივის ისტორიული ღირებულება ჩამოიწერება

საქართველოში ყოველწლიურად დასარიცხი ცვეთის თანხაზე აღემატება თითოეული ზამთრის დასახელებული ძველის შესაბამის გარკვეულჯერ პირველი ოთხი წლის განმავლობაში

თანაბარი ოდენობებით მისი ფუნქციონირების პერიოდის განმავლობაში. მაგალითისათვის, თუკი ესა თუ ის საოფისე აღჭურვილობის ისტორიული ღირებულება (ანუ ღირებულება, რომლითაც იგი იქნა შექმნილი და დამონტაჟებული) 600 დოლარის ტოლია, ხოლო ის ჯგუფი, რომელშიც აღნიშნული

აღჭურვილობა შედის 10%-იანი ცვეთის ნორმის ქვეშ ხვდება მაშინ ყოველწლიურად 10 წლის განმავლობაში უნდა მოხდეს 60 დოლარის ჩამონერა. მეორე მეთოდი პრინციპულად განსხვავდება პირველისაგან, რადგან ამ შემთხვევაში ყოველწლიურად ჩამოსაწერი ღირებულების თანხა მიიღება აქტივის არა ისტორიული ღირებულების, არამედ წლის ბოლოს არსებული საბალანსო ღირებულების (რომელიც ბუღალტრულ წიგნებშია ნაჩვენები) ფიქსირებული ცვეთის ნორმაზე გამრავლებით. აქტივის საბალანსო ღირებულება განსხვავებით ისტორიული ღირებულებისაგან მცირდება ყოველწლიურად, რადგან მასში აისახება გასული წლების ცვეთის თანხები. აღნიშნულ მეთოდს კლებადი ბალანსის მეთოდი ეწოდება. მსგავსება პირველ და მეორე მეთოდებს შორის იმაში მდგომარეობს, რომ თითოეული იყენებს აქტივების კლასიფიკაციას. როგორც წესი ის თუ ამორტიზაციის დარიცხვის რომელ წესს იყენებს ქვეყანა ნაჩვენებია საგადასახადო კანონმდებლობაში. საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად აქტივის თითოეული ჯგუფის საამორტიზაციო ანარიცხების ოდენობა გამოიანგარიშება საგადასახადო წლის ბოლოს ჯგუფის ღირებულებით ბალანსთან არსებული ცვეთის ნორმების შეფარდებით ანუ ჩვენთან გამოიყენება კლებადი ბალანსის მეთოდი. კოდექსით განსაზღვრულია მხოლოდ პრინციპი ცვეთის თანხების დარიცხვისა, ხოლო პრაქტიკაში კი ჩვენთან გამოიყენება ორმაგი დაჩქარების მეთოდი, რაც გულისხმობს, რომ არსებული ცვეთის ნორმები უნდა გამრავლდეს ორზე ამორტიზაციის ანარიცხების დასაანგარიშებლად. საქართველოს საგადასახადო კოდექსით საშუალებები, რომლებიც ექვემდებარება ამორტიზაციას, კლასიფიცირდება ხუთ საამორტიზაციო ჯგუფად (იხ. ცხრილი №2).

შევადართთ საქართველოში არსებული ამორტიზაციის ნორმები და მეთოდი განვითარებული ქვეყნების პრაქტიკასთან. ამისათვის (იხ. ცხრილი №3).

10% კბX7 შემდეგ 5% წხ ნიშნავს, რომ შვიდი წლის განმავლობაში გამოიყენება კლებადი ბალანსის მეთოდი, შემდეგ 5%-იანი წრფივი ხაზის მეთოდი აქტივის სრულ გაუფასურებამდე.

ცხრილიდან ჩანს, რომ შენობა-ნაგებობებზე ამორტიზაციის დარიცხვის განსხვავებული მეთოდები და ნორმები გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნების მიერ და ამასთან ქვეყნების უმრავლესობა ეყრდნობა წრფივი ხაზის მეთოდს. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ყოველწლიურად დასარიცხი ცვეთის თანხები

აღემატება თითოეული ზემოთ დასახელებული ქვეყნის შესაბამის მაჩვენებლებს პირველი ოთხი წლის განმავლობაში, თუმცა ამ მხრივ პირველ წელს გამონაკლისს წარმოადგენს ირლანდია, სადაც სანარმოებს შესაძლებლობა აქვთ ჩამოწერონ შენობა-ნაგებობების პირველადი ღირებულების 50% პირველი წლის განმავლობაში. უმჯობესი იქნება თუკი შეიცვლება საქართველოში არსებული პრაქტიკა და გაზიარებულ იქნება ირლანდიური გამოცდილება, რადგან ახლად დაარსებულ სანარმოებს გაუჩნდებათ მნიშვნელოვანი შეღავათი თავისი ფუნქციონირების პირველ წელს და მათ ნაკლები სურვილი ექნებათ თავიდანვე იზრუნონ გადასახადების თავის არიდებაზე. ასევე უმჯობესი იქნება თუკი კლებადი ბალანსის მეთოდის შეცვლა მოხდება წრფივი ხაზის მეთოდით, რომელიც შედარებით იოლი გამოსაყენებელია და მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობა ამ მეთოდს იყენებს. აღსანიშნავია, რომ საკუთარი ეკონომიკის გამოცოცხლების მიზნით მშ-იან წლებში დიდი ბრიტანეთის მიერ შემოღებულ იქნა იგივე პრაქტიკა, რომელსაც ირლანდია დღეს იყენებს.

მოგების გადასახადით დაბეგვრიდან მიღებული შემოსავლები შემცირდება, თუმცა მას ექნება დადებითი ზეგავლენა მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაზე მენარმოების განვითარების თვალსაზრისით.

უმჯობესი იქნება თუკი მოხდება მოგების გადასახადის განაკვეთის დიფერენცირება შემოსავლების მიხედვით, კერძოდ შედარებით დაბალი ტარიფი დაუნესდეს მცირე ზომის სანარმოებს. აღნიშნული ფაქტორი ხელს შეუწყობს ქვეყანაში მცირე ბიზნესის სანარმოთა მომრავლებას, ხოლო უკვე მრავალჯერ სანარმოებისათვის დამატებითი სტიმული იქნება, რათა აღარ მიმართონ შემოსავლების დამალვას. ყველაფერი ეს საბოლოო ჯამში განაპირობებს საერთო საგადასახადო ბაზის გაფართოებას და შესაბამისად შემოსავლების გადი-

დებასაც. იმისათვის, რომ საქართველომ, როგორც დამოუკიდებელმა ქვეყანამ თავისი კუთვნილი ადგილი დაიმკვიდროს საერთაშორისო თანამეგობრობაში და გახდეს მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი შემადგენელი უჯრედი, საჭიროა უკვე დღევანდელ ეტაპზე დაისახოს განსაზღვრული სტრატეგია, რომლის მიზანმიმართული შესრულების შედეგად მიღწეულ იქნება ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება. უპირველესი საკითხი, რომელიც ამ შემთხვევაში წამოიჭრება არის საქართველოს ეკონომიკის სწორი დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბება და მისი განვითარების მიმართულებების და საშუალებების განსაზღვრა. მომგებიანი დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბება შესაძლებელია მხოლოდ თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ტენდენციებისადმი მხარის აბმით. საქართველოს ეკონომიკას ორიენტაცია უნდა ჰქონდეს აღებული ისეთ დარგებზე, რომლებიც ნაკლებ ფიზიკურ რესურსებს და მეტ ტექნო და მეცნიერთევად რესურსებს მოითხოვენ. თანამედროვე ეტაპზე საჭიროა განსაზღვრულ იქნეს გრძელვადიანი და მოკლევადიანი პრიორიტეტები. როდესაც მოკლევადიან პრიორიტეტებზე ვსაუბრობთ აქ პირველ რიგში უნდა გავითვალისწინოთ სოფლის მეურნეობის დარგები, რომლებიც ადრეულ წარსულში საქართველოს ეკონომიკის მსხვილ შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენდნენ და რომელთა ექსპორტირებასაც ქვეყანა აწარმოებდა. კერძოდ ეს დარგებია ჩაის წარმოება, ღვინო და

საქართველოში მოქმედი 20%-იანი ტარიფი, როგორც მეზობელ ქვეყნებთან, ასევე საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებით საკმაოდ დაბალია.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანხმად სანარმოს დასაბეგრი მოგება 20%-ით იბეგრება, მიუხედავად მოგების სიდიდისა. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მოქმედი 20%-იანი ტარიფი, როგორც მეზობელ ქვეყნებთან, ასევე საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებით საკმაოდ დაბალია (იხ ცხრ №4).

საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია მოგების გადასახადის გადახდისაგან განთავისუფლება, მაგალითად საბიუჯეტო და საქველმოქმედო ორგანიზაციების მიერ მიღებული მოგება, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული მოგების გარდა; საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული მოგება, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიღებული მოგება და სხვა.

საქართველოს ეკონომიკის დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საინვესტიციო საქმიანობის ფართოდ გაშლას. აღნიშნული მიზნის მიღწევის ერთ-ერთ საშუალებად მოგების გადასახადის გამოყენებაც არის შესაძლებელი, რაც გამოიხატება იმაში, რომ უმჯობესი იქნება თუკი დასაბეგრი მოგების ის ნაწილი, რომელიც საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოიყენება განთავისუფლდეს გადასახადისაგან. რეინვესტირებული შემოსავლების გადასახადისაგან განთავისუფლებით მოსალოდნელია, რომ

ეკონომიკის ერთ-ერთი შემადგენელი უჯრედი, საჭიროა უკვე დღევანდელ ეტაპზე დაისახოს განსაზღვრული სტრატეგია, რომლის მიზანმიმართული შესრულების შედეგად მიღწეულ იქნება ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება. უპირველესი საკითხი, რომელიც ამ შემთხვევაში წამოიჭრება არის საქართველოს ეკონომიკის სწორი დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბება და მისი განვითარების მიმართულებების და საშუალებების განსაზღვრა. მომგებიანი დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბება შესაძლებელია მხოლოდ თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ტენდენციებისადმი მხარის აბმით. საქართველოს ეკონომიკას ორიენტაცია უნდა ჰქონდეს აღებული ისეთ დარგებზე, რომლებიც ნაკლებ ფიზიკურ რესურსებს და მეტ ტექნო და მეცნიერთევად რესურსებს მოითხოვენ. თანამედროვე ეტაპზე საჭიროა განსაზღვრულ იქნეს გრძელვადიანი და მოკლევადიანი პრიორიტეტები. როდესაც მოკლევადიან პრიორიტეტებზე ვსაუბრობთ აქ პირველ რიგში უნდა გავითვალისწინოთ სოფლის მეურნეობის დარგები, რომლებიც ადრეულ წარსულში საქართველოს ეკონომიკის მსხვილ შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენდნენ და რომელთა ექსპორტირებასაც ქვეყანა აწარმოებდა. კერძოდ ეს დარგებია ჩაის წარმოება, ღვინო და

ღვინომასალები, ციტრუსები და სხვა. გრძელვადიან ჭრილში აუცილებელია, რომ ეკონომიკამ გეზი აიღოს უფრო პროგრესულ დარგებზე და თანდათანობით, ეტაპობრივად მოხდეს უარის თქმა ზემოთ ჩამოთვლილ სოფლის მეურნეობის დარგებზე. ვინაიდან აგრარული ქვეყანა და განვითარებადი ქვეყანა დღევანდელ მსოფლიოში ასოცირდება ერთმანეთთან. გრძელვადიანი პრიორიტეტული დარგების განვითარების კვალობაზე თანდათანობით მოხდება ზემოთჩამოთვლილი შედარებით არამომგებიანი დარგების შეზღუდვა და რესურსების ახალ მომგებიან დარგებში გადაადინება ანუ ქვეყნის ეკონომიკის გადამორიენტირება, რაც შედარებით უმტკივნეულოდ განხორციელდება. როდესაც პრიორიტეტებზე ვსაუბრობთ, ამოსავალი წერტილი მათი განვითარებისათვის იქნება სანაყის ეტაპებზე არსებული სირთულეების მაქსიმალურად შემსუბუქება და მუდმივი სახელმწიფო მხარდაჭერა და ზრუნვა. მსოფლიო ეკონომიკის ტენდენციებიდან გამომდინარე აქცენტი უნდა იქნეს გადატანილი ახალ დარგებზე, რომლებიც საქართველოში ჯერ-ჯერობით არ ფუნქციონირებენ და არსებულ ზოგიერთ დარგზე. ახალი დარგებიდან ყველაზე მეტი მოთხოვნით მსოფლიო ბაზარზე სარგებლობს კომპიუტერული მომსახურება, კერძოდ პროგრამული მომსახურება, მონაცემთა დამუშავება და მათთან დაკავშირებული ტექნიკური და საკონსულტაციო მომსახურება. აღნიშნული დარგის განსავითარებლად საქართველოს ყველანაირი პირობა გააჩნია. ამასთან კომპიუტერული მომსახურება სპეციფიკური ხასიათის დარგია, რაც გამოიხატება მისი არნახული ტემპებით პროგრესირებაში. ამ დარგს დიდი ხნის ისტორია არ გააჩნია და შესაბამისად მისი შესწავლა დიდ სირთულეებთან არ არის დაკავშირებული. ამასთან გამოცდილება ამ დარგში არ შეიძლება ჩაითვალოს უპირატესობად, ვინაიდან აქ ყველაფერს წყვეტს რაციონლიზატორული საქმიანობა და სიახლეთა დანერგვის უნარი, რის საფუძველსაც გამჭრიახი გონებისა და დიდი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები წარმოადგენენ. კომპიუტერული მომსახურების დარგის განვითარებას საქართველოში არ დასჭირდება დიდი სახსრები, ვინაიდან ამისათვის არ არის საჭირო გრანდიოზული მშენებლობების ან თუნდაც გეგმების შექმნა. აღნიშნული დარგის უპირატესობად უნდა ჩაითვალოს, რომ იგი მოითხოვს შედარებით მცირე დანახარჯებს, მაშინ როდესაც შემოსავალი მისგან მნიშვნელოვანი იქნება. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ ეს დარგები მთლიანად საზღვარგარეთის ბაზრებზე იქნება მიმართული, ადვილი მისახვედრია, რომ შემოსავალი ძირითადად უცხოურ ვალუტაში იქნება.

კომპიუტერული მომსახურება ერთი კომპონენტი უნდა გახდეს ქვეყნის მომავალი

დარგობრივი სტრუქტურისა სხვა მსგავსს, ახალ მეცნიერტევად დარგებთან ერთად. რაც შეეხება უკვე არსებული, ტრადიციული დარგების განვითარებას, აქ სტრატეგია შემდეგნაირი უნდა იყოს: საჭიროა თითოეული დარგის შიგნით ამორჩეულ იქნას წარმოების განსაზღვრული ვინრო სფერო, საწიროა აღმოჩენილ იქნას ნიშა თითოეული დარგის შიგნით, რომლითაც საქრთველო საერთაშორისო ასპარეზზე გასვლას შეზღუდვს და ქვეყანას დამატებით სავალუტო შემოსავლებს მოუტანს. მაგალითისათვის ავიღოთ კვების მრეწველობა. თუკი ქვეყანა განაცხადებს, რომ მას აქვს პრეტენზია და ამასთან რეალური შესაძლებლობა, რათა მოამარაგოს საერთაშორისო ბაზრები ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციით და ორიენტაცია იქნება ამგვარად აღებული და არა მთლიანად კვების მრეწველობაზე, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ამგვარ მონოდებას შესაბამისი გამოხმაურება მოჰყვება საერთაშორისო საზოგადოებრიობის მხრიდან. თითოეული დარგის შიგნით გარკვეული ნიშის მოძებნა და მასზე ორიენტაციის აღება უნდა გახდეს ამოსავალი წერტილი ზოგადი ეკონომიკური სტრატეგიისა.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით წარმოიქმნება ორი საკითხი: 1. როგორ უნდა მოხდეს პრიორიტეტული დარგებისათვის ხელშეწყობა და 2. ვინ უნდა განსაზღვროს თავად პრიორიტეტული დარგები, მათთვის ხელშეწყობის ღონისძიებების გატარება და რესურსების განაწილება.

პრიორიტეტული დარგების მხარდაჭერის ერთ-ერთი მიმართულება საგადასახადო პოლიტიკაა. ამ თვალსაზრისით უმჯობესი იქნება, მას შემდეგ რაც განისაზღვრება პრიორიტეტული დარგები მათთვის განისაზღვროს სახელმწიფო სუბსიდიები. ასევე დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს საწარმოთა შექმნის სანაყისი ეტაპების გაადვილებას. თუ გავითვალისწინებთ, რომ თავდაპირველი ხარჯები საწარმოს შექმნის დროს საკმაოდ დიდ როლს თამაშობს, პოლიტიკის ერთ-ერთი მიმართულება უნდა იყოს აღნიშნული ხარჯების მაქსიმალურად შეკვეცა. ამ მხრივ ერთერთ საშუალებას წარმოადგენს ამორტიზაციის ნორმის აწევა მაგალითისთვის პირველ წელს შენობა-ნაგებობების ცვეთის ღირებულების 50%-ის ჩამონერის უფლება.

სანაყისი ხარჯების შემცირების კიდევ ერთ საშუალებას წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან გრანტების მინიჭება. გრანტები შეიძლება მინიჭებული იყოს სხვადასხვა მიზეზით გამომდინარე დარგის და საწარმოს სპეციფიკიდან, იმისდა მიხედვით თუ რომელ ხარჯს უკავია ყველაზე მეტი წილი ხარჯთა კატეგორიებში. მაგალითისთვის, თუკი კაპიტალური ხარჯები (იგულისხმება აღჭურვილობისა და დანადგარების შექმნა-დამონტაჟების ხარჯები, შენობა-ნაგებობების ხარჯები) მნიშვნელოვან როლს თამაშობს, მაშინ

უნდა გაიცეს გრანტი კაპიტალზე, თუკი სამეცნიერო-კვლევითო მუშაობა საჭირო მაშინ უნდა გაიცეს გრანტი მათ დასაფინანსებლად. აგრეთვე, თუკი ამა თუ იმ საწარმოო ობიექტის დაარსებით იქმნება დიდი რაოდენობით სამუშაო ადგილები, მაშინ შესაძლებელია გაიცეს დასაქმების გრანტი. და ეს ყველაფერი საწყის ეტაპზე, იმ მიზნით, რომ მომავალში პრიორიტეტული დარგების საწარმოები გადაიქცნენ მძლავრ ორგანიზაციებად, რომლებიც სახელმწიფო ხაზინის შევსების მყარი გარანტი გახდებიან.

იმისათვის, რათა შენარჩუნებულ იქნას საგადასახადო შეღავათების მინიჭების მნიშვნელობა და აგრეთვე თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ ახალი დარგებისა და ახალი საწარმოების გაჩენა საქართველოში ძირითადად მოსახერხებელი იქნება უცხოური კაპიტალის მონაწილეობით, საჭიროა ძირითად პარტნიორ და ინვესტორ ქვეყნებთან გაფორმებული იქნეს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შეთანხმებები. ზოგიერთი შეთანხმება შეიძლება ითვალისწინებდეს განსაკუთრებულად ხელსაყრელ საგადასახადო მოპყრობას ინვესტორ ქვეყანაში რეპატრირებულ მოგებასთან დამოკიდებულებაში. აღნიშნული მომენტის გამოყენება ერთ-ერთ-სერიოზული სტიმული იქნება უცხოელ ინვესტორთა მოსაზიდად.

რაც შეეხება იმას თუ ვინ უნდა გაატაროს ხელშეწყობის პოლიტიკა და ვინ უნდა მოახდინოს არსებული რესურსების განაწილება, ამ მხრივ უმჯობესი იქნებოდა ცალკე დამოუკიდებელი ორგანოს შექმნა, მაგალითად ისეთისა როგორცაა საერთაშორისო ვაჭრობისა და ინდუსტრიის სამინისტრო (MITI) იაპონიაში, ინდუსტრიის განვითარების სააგენტო (IDA) ირლანდიაში და სხვა. თუმცა შესაძლებელი არის მსგავსი ორგანოს ჩამოყალიბება რომელიმე უწყების სტრუქტურული ქვედანაყოფის სახით.

სერიოზული პრობლემა, რომელიც მოგების

ბევრი ნაკლოვანებები ახასიათებს. მოგების გადასახადის დაანგარიშების დროს საქართველოს საწარმოების მიერ გამოიყენება მოგება/ზარალის უწყისი, რომელიც უშუალოდ საგადასახადო ინსპექციას წარედგინება ყოველი წლის ბოლოს. აღნიშნული მოგება/ზარალის უწყისი ძალზედ მოკლე და ბუნდოვანია და არ იძლევა წარმოდგენას საწარმოს მიერ სხვადასხვა წყაროებიდან შემოსავლების მიღების და ამ შემოსავლების ხარჯვის მიმართულებების შესახებ. ამასთან ყველაზე დიდი მინუსი, რომელიც აღნიშნული უწყისისათვის არის დამახასიათებელი არის ის, რომ დასაბეგრი მოგების თანხა მასში შემცირებულია და აქედან გამომდინარე მოგების გადასახადის მოცულობა ნაკლებია, ვიდრე იმ შემთხვევაში როდესაც ანგარიშგება მოხდებოდა საერთაშორისო საბუღალტრო პრინციპების გამოყენებით. საშუალოდ მოგების გადასახადის სახით ბიუჯეტს ყოველწლიურად აკლდება ამონაგები თანხის 30-35%, რაც არასწორი საბუღალტრო წარმოებით არის განპირობებული. ალბათ ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ საქართველოში ერთობლივ საგადასახადო შემოსავლებს შორის მოგების გადასახადს ყველაზე ნაკლები შემოსავალი მოაქვს საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებით, წარმოადგენს არასწორი პოლიტიკა საბუღალტრო სფეროში. იმისათვის, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას საქართველოში გავრცელებული მოგება/ზარალის უწყისსა და საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებულ საშემოსავლო უწყისებს შორის შევადაროთ ერთმანეთს ორივე მათგანი (იხილეთ მომდევნო გვერდზე).

დღესდღეისობით მიმდინარეობს მუშაობა იმის თაობაზე, რომ საქართველოში ბუღალტრული პოლიტიკის გატარება გადავიდეს ფინანსთა სამინისტროდან საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის ხელში, რომელიც სპეციალურად ამ მიზნისათვის შეიქმნა. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა განვითარებულ ქვეყანაში ბუღალტრული

ალრიცხვის პოლიტიკას დამოუკიდებელი ბუღალტრული ორგანოები განაგებენ. აშშ-ში მოქმედ საბუღალტრო ორგანოს სახელწოდებით „FASB“-ს შემუშავებული აქვს ბუღალტერიის წარმოების საკუთარი პრინციპები. თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესებმა დღის წესრიგში დააყენა საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების შექმნა აუცილებლობა.

გლობალური საბუღალტრო სტანდარტების ფორმირება 25 წლის წინათ დაიწყო, როდესაც ლონდონში შეიქმნა ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია (IFAC) და რომელსაც დაევალა საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების შემუშავება. ევროკავშირს

საქართველოში დღესდღეობით მცირაფრთხილ ტრანსფორმირებაში, მაგრამ ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდის ბუღალტრული ანგარიშგების სისტემა მოქმედებს, რომელსაც გვერდი ნაკლოვანებები ახასიათებს.

საშუალოდ მოგების გადასახადის სახით ბიუჯეტს ყოველწლიურად აკლდება ამონაგები თანხის 30-35%, რაც არასწორი საბუღალტრო წარმოებით არის განპირობებული.

გადასახადთან დაკავშირებით წარმოიქმნება არის ბუღალტრული აღრიცხვიანობა. საქართველოში დღესდღეისობით მცირედიტ ტრანსფორმირებული, მაგრამ ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდის ბუღალტრული ანგარიშგების სისტემა მოქმედებს, რომელიც

საქართველოში მოქმედი მოგება/ზარალის უწყისი

• შემოსავლები (გაყიდვებიდან, განუული მომსახურებიდან)	— 397 758
• წარმოებული და გაყიდული საქონლის განუული მომსახურების ღირებულება	— 334 404
• შედეგი გაყიდვებიდან	— 63 353
• სხვა საოპერაციო ხარჯები	— 2 321
• მოგება (ზარალი) ჩვეული საქმიანობიდან	— 61 032
• გაუთვალისწინებელი ხარჯები	— 2 799
• მოგება (ზარალი) მოც. წლისათვის	— 58 233
• მოგების გადასახადი	— 11 646
• წმინდა მოგება მოც. წლისათვის	— 46 586

საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული საშემოსავლო უწყისი

• შემოსავალი გაყიდვებიდან დღგ-ს გამოკლებით	— 366 454
• გაყიდული საქონლის ღირებულება:	
მასალები	— 201 163
შრომა	— 19 222
სხვადასხვა	— 35 041

• **შედეგი** **255 427**

• ერთობლივი მოგება	— 111 027
• საოპერაციო ხარჯები:	
გაყიდვები, საერთო და ადმინისტრაციული	— 49 745
სამეცნიერო-კვლევითი	— 3 071
საგზაო გადასახადი	— 2 554
ქონებაზე გადასახადი	— 2 321
საგადასახადო ინსპექციის მიერ დაკისრებული ჯარიმები	— 2 799

• **შედეგი** **60 491**

• საოპერაციო შემოსავალი	— 50 535
• სხვა სახის შემოსავალი	— 30 144
• დაუბეგრავი მოგება	— 80 679
• მოგების გადასახადი	— 11 646
• წმინდა მოგება მოც. წლისათვის	— 69 033

გადანყვეტილი აქვს მთლიანად გადაიღოს აღნიშნული სტანდარტები. ბულალტერიის საერთაშორისო სტანდარტები სულ 32 პრინციპს მოიცავს. ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრციდან მოლდოვა ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც 32-ვე პრინციპი გადმოიღო, ხოლო ყორგიზეთმა გაიზიარა მხოლოდ 18 პრინციპი. დანარჩენ ქვეყნებში ჯერ კიდევ ძველი პრინციპები გამოიყენება. საქართველოში შექმნილი პროფესიონალ ბულალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია მონოდებულია შეიმუშავოს საკუთარი ქართული სტანდარტები ან გადმოიღოს არსებული საერთაშორისო პრინციპები.

საგადასახადო კოდექსის თანახმად განსაზღვრულია საგადასახადო აღრიცხვის ნესები, რომელსაც საქართველოში მოქმედი ყველა სანარმო უნდა დაემორჩილოს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც მოგების გადასახადთან დაკავშირებით წარმოიქმნება სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღრიცხვას ეხება. როგორც ბიზნესის შემადგენელი ნაწილი ყოველ ფირმას უხდება სასაქონლო-მატერიალური მარაგების ქონა წარმოების ნებისმიერ ეტაპზე. მათ განეკუთვნებათ მასალები და ნედლეული, რომლებიც შექმნილია შემდგომი რეალიზაციისა ან საქონლის წარმოებისათვის, სამუშაოს შესრულებისა ან მომსახურების განევისათვის.

სტანდარტული საბულალტრო პრინციპების მიხედვით სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღრიცხვა ხდება ისტორიული ღირებულების მიხედვით, თუმცა მათი საბაზრო ფასები შეიძლება შეიცვალოს მოგვიანებით, ამიტომაც ორი ძირითადი კრიტერიუმი იქნა შემუშავებული, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღრიცხვა: პირველ მეთოდს ეწოდება FIFO (First in, First out), რომელიც გულისხმობს, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პირველ რიგში რეალიზებულად ითვლება ის საქონელი, რომელიც საანგარიშო პერიოდის

დასაწყისისათვის მიკუთვნებულია სასაქონლო-მატერიალურ მარაგებს, ხოლო შემდეგ — ის საქონელი, რომელიც წარმოებულია (ან შექმნილია) საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. მეორე მეთოდის LIFO (Last in, First out) მიხედვით კი საანგარიშო პერიოდის მანძილზე პირველ რიგში რეალიზებულად ითვლება უკანასკნელად წარმოებული (შექმნილი) საქონელი.

საინტერესო იქნება იმის გამორკვევა თუ რა გავლენას ახდენს მოგების გადასახადი სასაქონლო-მატერიალური რეზერვების აღრიცხვის მეთოდის არჩევაზე. ამ მხრივ აქცენტი უნდა იქნეს გადატანილი ინფლაციურ პერიოდებზე. ინფლაციის პირობებში როგორც ირკვევა უმჯობესია LIFO-ს მეთოდის გამოყენება, რადგან ამ პირობებში უფრო მაღალი ღირებულების საქონლის (რომელიც მოგვიანებით იქნა შექმნილი) რეალიზაციას აქვს პირველად ადგილი, ხოლო შემდეგ უფრო დაბალი ღირებულებისას (ისინი, რომლებიც ადრე იქნა შექმნილი). აქედან გამომდინარე ინფლაციის პირობებში LIFO-ს მეთოდის გამოყენება განაპირობებს შედარებით დაბალი დასაბეგრი მოგების თანხის მიღებას და შესაბამისად მცირე გადასახდელებს სახელმწიფოს მიმართ. ამ გარემოებიდან გამომდინარე ფასების ზრდის პირობებში ფირმებისათვის უმჯობესი იქნება LIFO-ს მეთოდის გამოყენება, თუმცა არა ყველა შემთხვევაში, რადგან სხვა მომენტებმა შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს და წინა პლანზე წამოსწიოს FIFO-ს მეთოდის გამოყენება.


როგორც აღნიშნული მოხსენებიდან ჩანს საქართველოში მოგების გადასახადი სერიოზულ რეორგანიზაციას საჭიროებს, თუმცა ალბათ უმთავრესი პრობლემა, რომელიც მოგების გადასახადის ხაზით შემოსავლების ამოღებისას წარმოიქმნება არის მისი ადმინისტრირების საკითხი. ამიტომაც ყოველგვარი ცვლილების გატარების დროს ყურადღება უნდა მიექცეს გადასახადის ადმინისტრირების მომენტებსაც.

გამოყენებული ლიტერატურა


1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
2. საქართველოს ეკონომიკური მიმართულებანი 1997 წლის 3-4 კვარტალი. 1998 წლის პირველი კვარტალი;
3. საქართველოს საგადასახადო და საინვესტიციო გარემო. ავტორი დ. ამაღლობელი. №5 ბუიულეტენი;
4. "Налоговые Системы Развитых Стран мира"

- 1995 г. Москва;
5. Recent Economic Development (country report, IMF savaluto fondi);
6. Economic Freedom Index 1998, Heritage Foundation. 1998წ
7. Tax policy, IMF 96
8. Guide to Tax and Financial Incentives in Ireland, IDA 98.
9. Central Europe №4, June, 98;
10. Tax Tribunc, IOTA, №1. 98


ნახაზი №1





ნახაზი №2



ნახაზი №3





ფაქტიური და გეგმიური შემოსავლები მოგების გადასახადის მიხედვით

თარიღი	გეგმა	ფაქტიური	გადახრა
1996წ	69 170 000	57 879 000	55.7%
1997წ	61 999 000	38 828 000	62.6%
1998წ იანვარი	796 000	653 000	82%
1998წ თებერვალი	1 274 000	1 645 000	129.1%
1998წ მარტი	1 115 000	2 148 000	192.6%
1998წ პირველი კვ.	3 185 000	4 446 000	139.6%

სამორტიზაციო ჯგუფები საგადასახადო კოდექსის მიხედვით

ჯგუფის ნომერი	ქონება	ამორტიზაციის ნორმა, %
1	მსუბუქი ავტომობილები; ავტოსატრანსპორტო ტექნიკა გზებზე გამოსაყენებლად; სპეციალური ინსტრუმენტები, ინვენტარი და მოწყობილობა; კომპიუტერები, მონაცემთა დამუშავების პერიფერიული მოწყობილობები და აღჭურვილობა.	20
2	საავტომობილო ტრანსპორტის მოძრავი შედგენილობა: სატვირთო ავტომობილები, ავტობუსები, სპეციალური ავტომობილები და ავტომისაბმელები; მანქანები და მოწყობილობა მრეწველობის ყველა დარგისათვის, სამსხმელო წარმოებისათვის; სამჭედლო-სანახი მოწყობილობა; ელექტრონული მოწყობილობა; სამშენებლო მოწყობილობა; სასოფლო-სამეურნეო მანქანები და მოწყობილობა; ავეჯი ოფისისათვის.	15
3	სარკინიგზო, საზღვაო და სამდინარო-სატრანსპორტო საშუალებები; ძალოვანი მანქანები და მოწყობილობა; თბოტექნიკური მოწყობილობა, ტურბინული მოწყობილობა, ელექტროძრავები და დიზელგენერატორები, ელექტროგადაცემისა და კავშირგაბმულობის მოწყობილობები; მილსადენი	8
4	შენობები, ნაგებობები	7
5	ამორტიზებადი აქტივები, რომლებიც შეტანილი არ არის სხვა ჯგუფებში	10

ტიპური ცვეთის ნორმები სამრეწველო დანიშნულების შენობა ნაგებობებისათვის განვითარებულ ქვეყნებში.

ქვეყანა	ცვეთის ნორმა
ბელგია	10% კბx7 შემდეგ 5% წს
დანია	6% წსx10 შემდეგ 2% წს
გერმანია	10% წსx4 შემდეგ 5% წსx3 შემდეგ 2.5% წს
საბერძნეთი	8% წს
ესპანეთი	7.5% წს
საფრანგეთი	5% წს
ირლანდია	50% x1 შემდეგ 4% წს
იტალია	5% წს
ლუქსემბურგი	4% წს
პოლანდია	6.6% კბ
პორტუგალია	5% წს
დიდი ბრიტანეთი	4% წს
იაპონია	6.6% კბ
შვეიცარია	8% კბ
აშშ	3.2% წს
საქართველო	2x7% კბ

მოგების გადასახადის განაკვეთები ქვეყნების მიხედვით.

ქვეყნები	განაკვეთი	ქვეყნები	განაკვეთი
აშშ	15% - და 34% - მდე	რუსეთი	23% - და 35% - მდე
საფრანგეთი	39% და 42%	აზერბაიჯანი	25% - და 35% - მდე
გერმანია	36% და 56%	სომხეთი	12% - და 30% - მდე
დიდი ბრიტანეთი	25% და 35%	უკრაინა	30%
იტალია	36%	პოლონეთი	38%
იაპონია	27% - და 37.5% - მდე	სლოვენია	25%
დანია	34%	სლოვაკეთი	40%
ლუქსემბურგი	20% - და 33% - მდე	ხორვატია	35%
ავსტრია	30%	ჩეხეთი	35%
ბელგია	30% - და 43% - მდე	უნგრეთი	18%